ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

30 იანვრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

გაიყიდება

მგლის ბილიკი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




gfhfcrtdb7 #! bfydfhb7 @)!$ 125 (6336) afcb5 #) stshb

# ლია კრიალაშვილი: ჩემი ძმის მკვლელმა 12 ათასი ლარი პრემია მიიღო“



გვ.3

## ვანო მერაბიშვილი: მე 2 რუსი ოფიცრის გვამს ვითხოვდი“

რატომ იტირა ყოფილმა მინისტრმა სასამართლოს სხდომაზე

გვ.3



## პეტრე მამრაძე: მუხროვანში არავითარი ამბოხი არ ყოფილა“

გვ.4



## გელა ნიკოლაიშვილი: ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის გათეთრებას ცდილობს“

გვ.5



## გიორგი თევზაძე: ადვოკატებს უფლებები ჩამოართვეს“



გვ.6



## მერაბ კაკულია: ლარის კურსის ვარდნა საპანიკო არ არის“

გვ.2



## ნუკრი ქანთარია: ოთანაძის და კრიალაშვილის ლიკვიდაცია ადრე იყო დაგეგმილი“

გვ.2



## გია ხუხაშვილი: ნაცმოძრაობა მკაცრი კანონების მქონე კრიმინალური ორგანიზაცია იყო“

გვ.5



## ირაკლი ღარიბაშვილი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას

გვ.2

ISSN 1987-9385

5 შაურმა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა

7 ცხინვალს კორუფციასთან ბრძოლას ურჩევენ

4 ნინო ბურჯანაძე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს

6 საქიროების შემთხვევაში, შესაძლოა, შმაგი თელია და დავით ნაირაშვილი თანამდებობებს დროებით ჩამოშორდნენ

# მერაბ კაკულია: ლარის კურსის ვარდნა საპანიკო არ არის“

შორენა კოწოწაშვილი

რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ახალი მთავრობა და იძლევა თუ არა პანიკის საფუძველს ლარის კურსის ვარდნა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ფინანსური სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის დირექტორ მერაბ კაკულიასთან.

***– ბატონო მერაბ, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებას. მართლაც მძიმე 2014 წელი გველოდება ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც ექსპერტების დიდი ნაწილი აცხადებს?***

– საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი ვითარება, ჩემი აზრით, გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. გასული წლის პირველ 9 თვეში, ეკონომიკური აქტიურობის საკმაოდ მკვეთრი შესუსტების შემდეგ, მეოთხე კვარტალში დაიწყო ეკონომიკური გამოცოცხლება, რაც მიმდინარე წლისთვის კარგ სასტარტო პირობებს ქმნის. 2014 წელს ეკონომიკური სიძნელეები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ არა იმდენად მძიმე, რომ მათი გადალახვა ვერ მოხერხდეს, თუ საგარეო ფაქტორი ხელს არ შეგვიშლის.



***– რა არის მიზეზი იმისა, რომ ახალმა მთავრობამ ეკონომიკური წინსვლის კუთხით მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მიაღწია?***

– ახალი მთავრობა, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდა, სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა: ჯერ ერთი, მას საქმიანობის დაწყება დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე მოუხდა, როდესაც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები ე.წ. კოჰაბიტაციის ფორმატს ახალი მთავრობის დისკრედიტაციისა და საბოტაჟისთვის იყენებდნენ, რამაც დიდად შეუწყო ხელი უცხოელი ინვესტორების გადასვლას მოლოდინის რეჟიმზე; მეორე, ახალმა მთავრობამ მიზნად დაისახა ძველი ხელისუფლების მიერ ეკონომიკაში დამკვიდრებული მანკიერი „თამაშის წესების“ მოშლა, რომლებიც არაეკონომიკურ იძულებასა და ელიტურ კორუფციას ეფუძნებოდა. ამის გამო მსხვილი სამეწარმეო სუბიექტების დიდმა ნაწილმა სტრუქტურული შოკი განიცადა და მკვეთრად შეამცირა ბრუნვები; მესამე, გაჭიანურდა ეკონომიკის რეგულირების სფეროში ახალი მთავრობის ამოცანების ნათლად ჩამოყალიბება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება; მეოთხე, შეყოვნდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ადრე ეკონომიკური ზრდის წამყვანი ფაქტორი იყო. ყოველივე ამის მიუხედავად, 2013 წლის ბოლოსკენ ახალმა მთავრობამ მაინც მოახერხა პრიორიტეტებზე ფოკუსირება და შექმნა პირობები უკეთესი მაკროეკონომიკური შედეგების მისაღებად.

***– წარუმატებლობის მიზეზად ექსპერტების ნაწილი მთავრობის სუსტ ეკონომიკურ გუნდს და, საერთოდ, არასწორ საკადრო პოლიტიკას ასახელებს, პოლიტიკოსების ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას ცრუ დაპირებები მისცა და ქვეყანაში სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება.***

– ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდი პერსონალურად ნამდვილად არ არის სუსტი, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ პრეზიდენტ სააკაშვილის არაერთ „ეგზოტიკურ“ საკადრო გადაწყვეტილებას, მათ შორის ეკონომიკური გუნდის შემადგენლობაშიც. სხვა საკითხია ამ გუნდის კონსოლიდაცია და ზოგადად მთავრობაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ოპერატიულობა. ამ მხრივ, ჩემი აზრით, იყო გარკვეული პრობლემები, რომლებიც შემდგომში მოგვარდა, რასაც ადასტურებს თუნდაც პრემიერ-მინისტრთან ეკონომიკური საბჭოს შექმნა. რაც შეეხება დაპირებებს, მე ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილის დაპირებები ან უკვე შესრულდა, ან შესრულების პროცესშია; სოციალური ფონი კი ქვეყანაში არ დამძიმებულა, პირიქით, გაუმჯობესების იმედს იძლევა.

***– რას იტყვით ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით? ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს, თუმცა უმუშევრობის ასეთი მძიმე მაჩვენებლისა და გაზრდილი ფასების პირობებში საზოგადოება მართლაც რომ სერიოზულად შეშფოთდა...***

– ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, რომელთაგანაც აღსანიშნავია ეკონომიკური გამოცოცხლების კვალობაზე იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა; საბიუჯეტო ხარჯების მატება, რასაც ეროვნული ბანკის რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფონზე, მიმოქცევაში ლარის მასის ზრდა მოჰყვა; საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის – თურქეთის ეროვნული ვალუტის – ლირას დევალვაცია; უამინდობის გამო ზამთრის ტურისტული სეზონის ჩავარდნა და სხვა. ასეთ ვითარებაში ლარის კურსი უცვლელი ვერ დარჩებოდა. პანიკის საფუძველი დღეს მართლაც აღარ არსებობს, რადგანაც გაცვლითი კურსი უკვე მიუახლოვდა ახალ წონასწორულ მნიშვნელობას, თუმცა ჩემთვის გასაგებია საზოგადოების შეშფოთება, რაც სამომხმარებლო ფასების ზრდის მოლოდინს უკავშირდება.

***– რამდენად სწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი? შეძლებს თუ არა იგი ლარის კურსის დაჭერას?***

– ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ანუ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დონეზე შენარჩუნება. 2013-2014 წლებისთვის ეს მაჩვენებელი 6%-ის დონეზეა განსაზღვრული. გასულ წლის 12 თვიდან 11-ში ფაქტობრივი ინფლაცია ან ნულოვანი ნიშნულის ქვემოთ იყო, ან მასთან ძალიან ახლოს, რაც ისევე ცუდია ეკონომიკისათვის, როგორც მაღალი ინფლაცია. ამიტომ ეროვნული ბანკმა შეარბილა თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ცდილობს, მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის ხელშეწყობით მიუახლოვდეს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. დეკემბერში ინფლაციის დონემ 2.4% შეადგინა, იანვრის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, უფრო მეტი იქნება. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი მთლიანობაში სწორ გზას ადგას. რაც შეეხება მის სავალუტო პოლიტიკას ანუ ლარის კურსის რეგულირებას, ნოემბრიდან მოყოლებული, ეროვნულმა ბანკმა უკვე 440 მლნ აშშ დოლარი გაყიდა გაცვლითი კურსის ერთბაშად მკვეთრი დაცემის თავიდან აცილების მიზნით. მართალია, ლარის კურსის ახალი წონასწორული ნიშნული ახლოსაა, მაგრამ წონასწორობა შეიძლება კვლავ დაირღვეს, თუ მთავრობა არ გაატარებს ოპტიმალურ ხარჯვით პოლიტიკას და არ შექმნის დამატებით პირობებს უცხოური ინვესტიციების ნაკადის გასაძლიერებლად.

***– ივანიშვილიც და ღარიბაშვილიც იმედებს თანაინვესტირების ფონდზე ამყარებენ. დამოუკიდებელი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ ეს კერძო ფონდია და მთავრობა კერძო ფონდს არ უნდა ეყრდნობოდეს. თუმცა, არც ამ ფონდის თანამონაწილეობით განხორციელებული ინვესტიციები ჩანს და რომელიმე საწარმო გახსნილა...***

– მთავრობა მხოლოდ თანაინვესტირების ფონდზე არ ამყარებს იმედებს. მალე საპარტნიორო ფონდის ბაზაზე ფუნქციონირებას დაიწყებს სუვერენული ფონდი, რომელიც საქართველოში ინვესტირების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქცეს. დაგეგმილია აგრეთვე საწარმოთა განვითარების სააგენტოს შექმნა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. რაც შეეხება თანაინვესტირების ფონდს, რამდენადაც იგი მთავრობის ხელშეწყობით და ყოფილი პრემიერ-მინისტრის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა, ახალ პოლიტიკურ რეალობაში მსხვილი უცხოელი ინვესტორების დაინტერესების საკმაოდ მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ფონდმა 10 პროექტი უკვე დაამტკიცა ერთ მლრდ დოლარზე მეტი საერთო მოცულობით.

***– ხელისუფლება, როგორც ჩანს, თავს იკავებს ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნისა და ამ კუთხით ვითარების დარეგულირებისაგან. ზოგიერთი ინფორმაციით, ანტიმონოპოლიური სააგენტოს შექმნას თავად სახელისუფლებო გუნდშიც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. თუ გაქვთ თქვენც მსგავსი ინფორმაციები, აფერხებს თუ არა ეს ინვესტიციებს?***

– მე ასეთი ინფორმაცია არ მაქვს. მართალია, ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება და შესაბამისი სააგენტოს ჩამოყალიბება დროში გაჭიანურდა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. კონკურენციის პოლიტიკის სისუსტე უარყოფითად მოქმედებს მთლიანად საინვესტიციო კლიმატზე.

***– დაბოლოს, ბატონო მერაბ, პრემიერი ამტკიცებს, რომ ბიზნესზე ზეწოლა მოიხსნა, თუმცა იმ ბიზნესმენების უფლებები არ აღმდგარა და არც ზიანი ანაზღაურებულა, რომლებიც წინა ხელისუფლების წნეხის ქვეშ მოექცნენ. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის წინსვლის თვალსაზრისით სამართლიანობის აღდგენა ბიზნესსექტორში?***

– შეიძლება ითქვას, რომ დღეს ბიზნესი თავისუფალია სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლისგან. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, წინა ხელისუფლების მიერ საკუთრების უფლების ხელყოფის უამრავი ფაქტის განხილვასა და შესაბამის სამართლებრივ შეფასებას დიდი დრო და ადამიანური რესურსი სჭირდება, რომ არაფერი ვთქვათ ფინანსური ზიანის ანაზღაურებაზე. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი უნდა დაიწყოს. ანალოგიური ფაქტების გამოაშკარავება და დაგმობა სახელმწიფოებრივ დონეზე მომავალში მათი პრევენციისა და, ზოგადად, ეკონომიკური თავისუფლების საწინდარია.

# ნუკრი ქანთარია: ოთანაძის და კრიალაშვილის ლიკვიდაცია ადრე იყო დაგეგმილი“

შორენა კოწოწაშვილი

სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაულებრივი მმართველობის პერიოდზე ბევრი ფაქტობრივი მასალა არსებობს და, ალბათ, კიდევ არაერთი მტკიცებულება გახმაურდება, რომელიც გამოკვეთს ამ დანაშაულთა სისტემურობას. ორი დღის წინ გავრცელებული ვიდეომასალა, რომელიც მუხროვანის ამბოხს უკავშირდება და სპეცოპერაციის მომზადებას ადასტურებს მერაბიშვილ-ადეიშვილისა და ახალაიების თაოსნობით, იმაზე მეტყველებს, რომ გავლენიანი ნაციონალებისთვის, რომლებიც საზოგადოებაში სიკვდილის ბრიგადების სახელით არიან ცნობილი, ტელეკამერების თანხლებით გეგმავდნენ, რამდენი ადამიანის სიცოცხლე იყო საჭირო ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად.

ის, რომ რუსთაველზე მაისში მიმდინარე საპროტესტო აქციები ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ძალიან აღიზიანებდათ და იმიჯს ულახავდათ, ფაქტია. სააკაშვილის გუნდის წვერები, ბუნებრივია, ყველაფერზე წავიდნენ, როგორმე აქცია დაეშალათ და ბურჯანაძის მომხრეები ციხეშიც განეწესებინათ, მაგრამ, წინასწარ თუ გვამების რაოდენობაც განსაზღვრული იქნებოდა, ამას, ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა.



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი ნუკრი ქანთარია, ეხმაურება რა ტელევიზიით გავრცელებულ სკანდალურ ჩანაწერს, აცხადებს, რომ მაისში, ე.წ. ამბოხამდე ერთი კვირით ადრე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გია კრიალაშვილისა და ოთანაძის ლიკვიდაციას გეგმავდნენ. ეს ინფორმაცია მან მიტინგზე გააჟღერა და თქვა, რომ ასეთი ინფორმაცია იყო.

– ამ ინფორმაციის შედეგი, ფაქტობრივად, არის. ბრძანების გაცემა ადამიანების ლიკვიდაციაზე ჩვენ ვიხილეთ. ეს ინფორმაცია გავრცელდა, ოღონდ, ვის მიერ, არ ვიცი. ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, – აცხადებს „ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი ქანთარია. მისი თქმით, საბედნიეროდ, ოთანაძე გადარჩა. ჩანაწერში ვანო მერაბიშვილი გარკვევით ამბობს: „ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, პრემია იქნება დიდი“. ეს სიტყვები ბევრზე მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება 29 იანვარს გავრცელებულ ვიდეომასალაზე, რომელზეც ასახული არიან ყოფილი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა და სხვა პირები.

დეპუტატი ქანთარია დარწმუნებულია, რომ პროკურატურა სათანადოდ გამოიძიებს ყველა დეტალს და საზოგადოება სიმართლეს აუცილებლად გაიგებს. მისი თქმით, პროკურატურამ დროულად უნდა გამოიძიოს და დაადგინოს ყველა გარემოება. შემზარავია, რაც ვნახეთ. უმძიმესი დანაშაულები იყო წლების მანძილზე ჩადენილი და ყველაფერი უნდა იყოს გამოძიებული.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი მოუწოდებს საპარლამენტო უმცირესობის წევრებს, გაემიჯნონ ამ მკვლელობებს, დატოვონ ნაციონალური მოძრაობის რიგები, რადგან ვანო მერაბიშვილი ამ პარტიის გენერალური მდივანია, ან აიღონ პასუხისმგებლობა მომხდართან დაკავშირებით.

## ირაკლი ღარიბაშვილი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას



საქართველოს პრემიერ-მინისტრი 31 იანვარს -2 თებერვალს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვევა, სადაც მიუნხენის უსაფრთხოების 50-ე კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. მიუნხენის კონფერენციაზე მსოფლიო ლიდერები საგარეო პოლიტიკურ და უსაფთხოების სფეროში ძირითად პრიორიტეტებს განსაზღვრავენ.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ღარიბაშვილი ევროპის ლიდერებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე და მიმდინარე რეფორმებზე ინფორმაციას მიაწვდის. ევროატლანტიკურ პროცესებთან დაკავშირები დისკუსიაც გაიმართება. ასევე, საუბარი შედგება რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე და საქართველოს მოლოდინზე ევროატლანტიკურ პროცესებში.

მედიანიუსი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ვანო მერაბიშვილი: მე 2 რუსი ოფიცრის გვამს ვითხოვდი“

## რატომ იტირა ყოფილმა მინისტრმა სასამართლოს სხდომაზე

შორენა მარსაგიშვილი

**29 იანვარს ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა ვიდეოჩანაწერმა მთელი საქართველო შოკში ჩააგდო. კადრებმა, რომლებიც 2009 წლის 5 მაისს არის გადაღებული, ნაციონალებიც კი დააბნია. მათი განმარტებები ხშირ შემთხვევაში სასაცილოც კი იყო. დაბნეულ ნაციონალებს მხსნელად ისევ ვანო მერაბიშვილი მოევლინა, რომელმაც განმარტა, თუ რას გულისხმობდა, როცა 2 გვამს ითხოვდა.**

სკანდალურ ვიდეოში ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ასევე, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ფიგურირებენ. კადრებში ჩანს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, ასევე, ყოფილი მერი გიგი უგულავა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ვიდეოჩანაწერი ე.წ მუხროვანის ამბოხების საქმეზე სპეცოპერაციის დაგეგმვას ასახავს. სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს მერაბიშვილი დავალებებს აძლევს და ორ გვამს ახსენებს.

— მინდა მე ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, ვსიო, პრემია დიდია, — მიმართავს ვიდეოში მერაბიშვილი სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს. მერაბიშვილი ადგილზე შეკრებილებს სწრაფად მოქმედებისკენ მოუწოდებს, კოდუასა და ახალაიას კი, მოუწოდებს მიმართულებები აიღონ. ახსენებენ მუხროვანის პოლიგონსაც. კადრებში ვერტმფრენიც ჩანს.

ოფიციალური ინფორმაციით, მუხროვანის სატანკო ნაწილში ამბოხი 2009 წლის 5 მაისის დაიწყო. ამის შესახებ მაშინ განცხადება შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა შოთა უტიაშვილმა გააკეთა და აღნიშნა, ამბოხის ორგანიზტორები ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები იყვნენ, გეგმის უკან კი, რუსეთი იდგა. შსს-მ ამის დასადასტურებლად რამდენიმე ვიდეოჩანაწერიც გაავრცელა. მუხროვანის სამხედრო ნაწილში ყაზარმული მდგომარეობა გამოცხადდა. მაშინ თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე იყო, რომელიც ადგილზე ჩავიდა. მუხროვანში მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ჩავიდა და ამბოხებულ სამხედროებს იარაღის დაყრა და ჩაბარება მოსთხოვა. იგი სამხედროებისგან ითხოვდა ინფორმაციას განვითარებული მოვლენების შესახებ და ასევე, იმაზე იყვნენ თუ არა მათთან მისული ამბოხების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი გია კრიალაშვილი და კობა ოთანაძე. ამბოხი იმავე დღეს დასრულდა და ორგანიზებაში ეჭვმიტანილი სამხედრო მაღარლჩინოსნები დააკავეს. დაკავებული იქნა გენერალ-მაიორი კობა კობალაძეც. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ კი, თიანეთის გზატკეცილზე სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის შედეგადაც გია კრიალაშვილი დაიღუპა. როგორც შსს მაშინ აცხადებდა, კრიალაშვილი ორმხრივი სროლის შედეგად გარდაიცვალა. ასევე, დაიჭრა კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე. შსს-ს მიერ მაშინ გავრცელებული ინფორმაციით, ჯგუფი მიკროავტობუსით თბილისის დატოვებას აპირებდა და სწორედ ამის მცდელობის დროს ჩატარდა სპეცოპერაცია.

გუშინ მთავარმა პროკურატურამ გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. მთავარი პროკურატურა აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, შეისწავლის ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერებას, რასაც შედეგად მოჰყვა კობა ოთანაძის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და გია კრიალაშვილის ლიკვიდაცია.

2009 წელს მომხდარ ამბოხებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. სკანდალურმა ვიდეომ ეს კითხვები კიდევ უფრო გაამწვავა. ნაციონალების არაერთგვაროვანი რეაქციაც საეჭვო გახლავთ. სიმართლის დასადგენად სერიოზული გამოძიების ჩატარებაა საჭირო.

ნაციონალების მტკიცებით მაშინ ადგილი ჰქონდა სამხედრო ამბოხების მცდელობას. ამბოხების მოწყობაში ბრალდებულებს კი სხვა ვერსია აქვთ.

ყოფილი პოლიტპატიმრის ლევან ამირიძის განცხადებით, 2009 წლის მაისში, როდესაც ე.წ. მუხროვანის ამბოხება მოხდა, სამხედრო მაღალჩინოსნებს ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ხელისუფლება აპირებდა მათ გამოყენებას რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციების დაშლისთვის. სწორედ ამის გამო, ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებს ჰქონდათ პროტესტი და მათი პროტესტის შესახებ ცნობილი გახდა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ამის შემდეგ კი, ამირიძის განმარტებით, ყოფილმა ხელისუფლებამ ისინი ამბოხის მოწყობაში დაადანაშაულა.

— ეს იყო ჩვენი მეთაურობის პროტესტი მაშინდელი ხელისუფლების წინაშე, რაც ითვალსიწინებდა იმას, რომ იმ პერიოდში იყო კრიზისული სიტუაციები — საპროტესტო აქციები, რუსთაველის გამზირი კარვების ქალაქად გამოცხადდა, პარლამენტი პარალიზირებული იყო და არსებობდა იმის წინაპირობა, რომ 7 ნოემბერი განმეორებულიყო, ანუ ხელისუფლება წინასაალლუმო მზადების ჩატარებას აპირებდა, რასაც თავისთავად მოჰყვებოდა იმ კარვების ქალაქის აღება და უნდა გამოყენებულიყო ძალა. იმ პერიოდში მე სპეცოპერაციების დაჯგუფების — რეინჯერთა ბატალიონის მეთაური ვიყავი. კარგად ჰქონდა შესწავლილი მაშინდელი ხელისუფლების მმართველობის ფსქოლოგია და ზუსტად ვიცოდი, რომ ისინი არაფერზე დაიხევდნენ უკან. რაც მოგვიანებით 26 მაისს შეასრულა მიხეილ სააკაშვილმა, ჩვენ ვნახეთ გვამები სახურავებზე. აი ეს მოხდებოდა 2009 წლის მაისშიც. — განაცხადა ამირიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გივი თარგამაძის განცხადებით, 2009 წელს მუხროვანის ამბოხის ორგანიზატორები ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები გიორგი კრიალაშვილი და კობა ოთანაძე იყვნენ, რომლებსაც ზუსტად ანალოგიური ქმედება ჰქონდათ ჩადენილი ადრეც, კერძოდ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. თარგამაძემ ეს განცხადება ინტერნეტსივრცეში გუშინ საღამოს გავრცელებული ვიდეოჩანაწერის შესახებ გააკეთა, რომელშიც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს დავალებებს აძლევს და ორ გვამს ახსენებს.

თარგამაძის თქმით, ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ შეძლო, განსხვავებით შევარდნაძის პერიოდისგან, ერთი დღის მანძილზე, ამ სიტუაციის ამოწურვა, ისე, რომ ადგილზე არ ყოფილა არათუ გარდაცვლილი, არამედ დაზარალებულიც კი.

მერაბიშვილის მოთხოვნილ გვამებზე ნაციონალები სხვადასხვაგვარ კომენტარებს აკეთებდნენ. მათ რიგებში ამ მხრივ დიდი არეულობა იყო. ბოლოს ყველანი მერაბიშვილის განმარტებას დაეთანხმნენ. მერაბიშვილის თქმით, ის აჯანყებულების მიერ ლიკვიდირებული ორი რუსი მრჩევლის გვამს ითხოვდა.



— ვიქნები ძალიან გულწრფელი და ვიტყვი, რომ ეს განცხადება ნამდვილად გავაკეთე. ეს ჩანაწერი კეთდებოდა ღიად და მე არ მრცხვენია, რომ ეს განცხადება გავაკეთე. მუხროვანის აჯანყებაში მონაწილეობდა ჩემი ინფორმაციით, ორი რუსი მრჩეველი, რომელთა ლიკვიდაცია დანაშაულის დაფარვის მიზნით მოახდინეს აჯანყებულებმა და სწორედ ამ ორი ლიკვიდირებული რუსი მრჩევლის გვამს მოვითხოვდი. ამ განცხადებიდან ერთი საათის შემდეგ დაკავებული იქნა 15 ადამიანი და მე რომ ადამიანის ლიკვიდაცია არ მინდოდა, კარგად ჩანს იმაში, რომ დაკავებული ადამიანების მისამართით არცერთ სამართალდამცველს ცეცხლი არ გაუხსნია და ლიკვიდაციას რომ თავი გავანებოთ, ისინი არც კი დაუჭრიათ. ყველა მასალა არის შსს-ში. ბევრი მათგანი, ვინც იქ იმყოფებოდა, დღესაც მუშაობს ამ სამინიტროში და ვინც არ მუშაობენ, ისინი საქართველოში იმყოფებიან და შეუძლიათ, დაკითხონ და გაარკვიონ, თუ რეალურად რას ვგულისხმობდი ამ ფრაზების მიმართ, — განაცხადა მერაბიშვილმა.

ეს განცხადება მერაბიშვილმა ქუთაისში გააკეთა. სადაც მისი სასამართლო პროცესი გაიმართა. მოგვიანებით მან კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა. რომელსაც „ახალი თაობა“

„მინდა გამოვეხმაურო გუშინ გავრცელებულ ვიდეოკადრებს, რომელიც მუხროვანის აჯანყების დროს არის გადაღებული. მე არ მრცხვენია, რომ ეს განცხადება გავაკეთე, პირიქით, ეს იყო ჩემი მოვალეობა და მინდა რამდენიმე მცირე დეტალს მივაქციო თქვენი ყურადღება.

იმ დროს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მუხროვანის აჯანყებაში გარდა ყველასთვის ცნობილი ადამიანებისა, რომლებიც ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის დავალებით მოქმედებდნენ, მონაწილეობდა ორი რუსი „მრჩეველი“. ჩვენი ინფორმაციით, შეთქმულების ორგანიზატორებმა კვალის დაფარვის მიზნით მოახდინეს მათი ლიკვიდაცია. ამ ჩანაწერში ჩანს, რომ მე ვიძლევი ამ ორი ადამიანის გვამის პოვნის დავალებას. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რათა დაგვემტკიცებინა კავშირი ამ აჯანყებასა და რუსეთს შორის. რაც შეეხება ამის ინტერპრეტირებას, თითქოს ეს არის მკვლელობის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლია კრიალაშვილი: ჩემი ძმის მკვლელმა 12 ათასი ლარი პრემია მიიღო“

შორენა მარსაგიშვილი

გენერალ გია კრიალაშვილის და, ლია კრიალაშვილი, ხელისუფლებას ე.წ. მუხროვანის ამბოხის ხელახალ გამოძიებასა და მისი ძმის მკვლელების დასჯას სთხოვს. ლია კრიალაშვილი აცხადებს, რომ მისი ძმის მკვლელობა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილმა შეუკვეთა. ვანო მერაბიშვილმა კი ეს დაკვეთა, უბრალოდ, გაახმოვანა. მას ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაუმყარა 2 დღის წინ გავრცელებულმა კადრებმა, სადაც ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ მას ორი გვამი სჭირდება.



რა საბუთები უნდა გამოითხოვოს პროკურატურამ შსს-დან, რა კავშირშია კრიალაშვილის მკვლელობა იარაღით ვაჭრობასთან, რისი ეშინოდა ყოფილ ხელისუფლებას, რას ადასტურებს 2 დღის წინ გავრცელებული ჩანაწერი, ამის შესახებ მოკლული გენერლის და „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლია კრიალაშვილი:

— ის, რაც ამ ფირებზე ჩანს, ჩემთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. ამის მიუხედავად, ჩემთვის ამ კადრების ნახვა მაინც ძალიან მძიმე იყო. ეს ტრაგედია კიდევ ერთხელ განვიცადე თავიდან. ძალიან გამწარებული და გაბრაზებული ვარ, ამ საზიზღრებმა როგორი ძმა მომიკლეს... მხოლოდ ერთი რამ მამშვიდებს, გია კრიალაშვილი გმირი იყო და ხალხი მას ასეთად დაიმახსოვრებს. ესენი კი... გული ძალიან მტკივა, მაგრამ ამ ფირების გამოჩენით ბედნიერი ვარ. ამ თემაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. მე ყოველთვის გეუბნებოდით, რომ ესენი არიან მკვლელები, სისხლით გაუმაძღრები. მათ ქართველი ერის გენოციდი ჰქონდათ დაგეგმილი. ისინი საუკეთესო ვაჟკაცებს ხოცავდნენ. მათ დაჩმორებული ხალხი სჭირდებოდათ. ვისაც ვერ აჩმორებდნენ, ეგრევე კლავდნენ. მათ საქციელს მეტ ახსნას, უბრალოდ, ვერ ვუძებნი. მოღალატეები ვინც არიან, ეს არაერთხელ გამოჩნდა. გივი თარგამაძე გამოთრეულა და კომენტარები გაუკეთებია, ამაყად უთქვამს, მეც იქ ვიყავი, მაგ კადრებს რომ იღებდნენო. ეგ უნამუსო და ნაძირალა როგორ იღებს საერთოდ ხმას? ვინ იყო მოღალატე, ჩემი ძმა?! მოღალატეები არიან ეგენი! ჩემი ძმა არის გმირი და გმირად დარჩება. ყველაფერი გარკვეულია. ყველამ კარგად იცის, ვინ ვაჭრობდა იარაღით და ვინ ხოცავდა ხალხს. მიპასუხოს გივი თარგამაძემ, გამცეს პასუხი იმ ხალხმაც, ვინც ახალაიასა და მერაბიშვილს უჭერენ მხარს. გამოდიან და მათ პატიმრობას აპროტესტებენ. ისინი იქ დამსახურებულად სხედან. ძველმა რეჟიმმა ათასობით უდანაშაულო ადამიანი ჩაყარა ციხეში. აწამებდნენ და ღირსებას ულახავდნენ მათ. არც კი ვიცით, რამდენი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს ამ საზიზღრებმა. მოულოდნელი ეს ფირი ჩემთვის არ ყოფილა. ამ ფირის ნახვის შემდეგ ბედნიერი ვარ.

— უკვე მეორედ ამბობთ, ქალბატონო ლია, ბედნიერი ვარო...

— მართლა ბედნიერი ვარ, თუკი ჩემნაირი გამწარებული შეიძლება ბედნიერად ჩაითვალოს. ბედნიერი იმიტომ ვარ, რომ დაიდო ფაქტები, დამტკიცდა ის, რასაც ამ წლების მანძილზე ვამბობდი.

— რას გულისხმობთ?

— კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ესენი სპექტაკლებს დგამდნენ ხალხის დასახოცად. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩემი ძმის მკვლელობა იყო. ეს მკვლელობა წინასწარ დაიგეგმა. დებილმა ვანო მერაბიშვილმა 2 გვამი შეუკვეთა. ის ჩემს ძმასა და კობა ოთანაძეზე საუბრობს. ახლა ვანო ციხეში უგდიათ და ჰკითხონ, რაში სჭირდებოდა მათი დახოცვა. გვამი უნდოდა? მაგათ ოჯახში არ გამოილიოს გვამები! ან რით ვერ გაძღნენ ამ გვამებით? რამდენი სისხლი დაღვარეს. არ ეყოთ გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი, გამცემლიძე? არ ეყოთ ასობით უდანაშაულო ბიჭის სისხლი?! სისხლით ვერ ძღებოდნენ. ვერ ჩაიხრჩვნენ სისხლში. სისხლისმსმელები იყვნენ და ვამპირები. ძალიან მიკვირს, ადვოკატები როგორ ჰკიდებენ ამ ვამპირების დაცვას ხელს. სისხლის სუნი მაინც არ აწუხებთ. კიდევ ვამბობ, ბედნიერი ვარ, ეს ფირები რომ დაიდო. ახლა აუცილებლად გაიოლდება ამ საქმის გამოძიება. გამოსაძიებელი ისედაც არაფერი იყო. მოვითხოვ ყველა იმ პირის დაკავებას, ვინც იმ კადრში ჩანს. დაიჭირონ და ათქმევინონ სიმართლე.

— პროკურატურამ უკვე დაიწყო ამ ფირის შესწავლა.

— ძალიან კარგი, იმედია, გამოძიება მალე დასრულდება. მივმართავ პროკურატურას, რომ რაც შეიძლება მალე გამოიძიონ ეს საქმე. გაჩერებას აღარ ვაპირებ, ასე არიან სხვებიც. ჩვენ სამართალს აუცილებლად ვიპოვით. ირაკლი ღარიბაშვილის დიდი იმედი მაქვს და მჯერა, ეგ ბიჭი სამართლიანობას აღადგენს. ძალიან მალე გაირკვევა, რატომ მოკლეს ჩემი ძმა.

— რამდენიმე დღის წინ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გია კრიალაშვილი ყოფილი იარაღით ვაჭრობის სკანდალს შეეწირა. ამაზე რას იტყვით?

— წავიკითხე გაზეთ „პრაიმ-ტაიმში“ გამოქვეყნებული ეს მასალა და შოკირებული ვარ. როგორც ამ სტატიიდან გავიგე, გადამდგარი ოფიცრების ჯგუფი სწავლობს იარაღით ვაჭრობის ამბავს. მათ ჩაუტარებიათ გამოძიება, საიდანაც დაასკვნეს, რომ იარაღით ვაჭრობის ამბავს ზურაბ ჟვანია, ზურაბ ირემაძე და ჩემი ძმა შეეწირნენ. სამივე გაურკვეველ ვითარებაშია მოკლული. ეს საყურადღებო ინფორმაციაა. ამ გამოძიებას ტრისტან წითელაშვილი აწარმოებს. მათ, ალბათ, აქვთ რაიმე მტკიცებულებები.

— ტრისტან წითელაშვილს პირადად ხომ არ შეხვედრიხართ?

— არ შევხვედრივარ, მაგრამ ვაპირებ. მას საინტერესო ცნობები ექნება. ჩემი ძმაც, ჟვანიაც და ირემაძეც საეჭვო ვითარებაში მოკლეს.

— თქვენი ძმისგან თუ გსმენიათ რამე იარაღით ვაჭრობის ამბავზე?

— არაფერი. გია ბევრს არ ლაპარაკობდა. მას უკრაინაში ჰქონდა ბიზნესი და ძირითადად იქ იყო. ბოლო პერიოდში ვამჩნევდი, რომ შეწუხებული იყო. მას ნამდვილად ჰქონდა რაღაც ინფორმაცია. ამაზე ადრეც მისაუბრია თქვენთან. მართლა არ ვიცი, რა ინფორმაციებს ფლობდა ჩემი ძმა, მაგრამ, რადგან მოკლეს, გამოდის, რომ ეს ინფორმაცია ნაციონალებისთვის ძალიან საშიში იყო. მუხროვანში კი არანაირი ამბოხება არ ყოფილა. ამ ფირების შემდეგ გამოძიება ახალი ტემპით დაიწყება და სიმართლესაც დავადგენთ. მეც მივაწვდი გამოძიებას ინფორმაციას. არის დოკუმენტური მასალა, საიდანაც მტკიცდება, რომ ჩემი ძმის მკვლელმა 12 ათასი ლარის ოდენობის პრემია მიიღო. მივმართავ პროკურატურას, სასწრაფოდ გამოითხოვოს შსს-დან 2009 წლის მაის-ივნისის საბუთები. იქ ნახავენ, ვინ მიიღო ჯილდოს სახით ასეთი პრემია. ყველაფერი მარტივი გამოსაძიებელია. სიმართლე აუცილებლად გაირკვევა. ჩემი ძმის მკვლელობა სააკაშვილის მიერ იყო დაკვეთილი. ის ვანო მერაბიშვილმა მხოლოდ გაახმოვანა. მე ხელთ მაქვს კადრებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მუხროვანის ამბოხი მოდულის შენობაში დაიგეგმა. ერთ-ერთ ჟურნალისტს, რომელიც „ასავალ-დასავალში“ იყო გაშიფრული და ტელევიზიითაც აჩვენეს, ჰქონდა მასალა, სადაც „სოდის“ თანამშრომელი ყვება, თუ როგორ დაიგეგმა ეს ოპერაცია „სოდის“ შენობაში, როგორ დაცხრილეს ჟილეტები, დასვარეს სისხლით წინასწარ და ვითომ სპეცოპერაციაზე წავიდნენ, ჩემი ძმის ტანსაცმელი ხელზე შემოიხვიეს და გასროლა ასე მოახდინეს.

# პეტრე მამრაძე: მუხროვანში არავითარი ამბოხი არ ყოფილა“

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელ პეტრე მამრაძესთან



***— ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებთ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოკადრებს, რომელზეც, სავარაუდოდ, ასახულია 2009 წლის ე.წ. მუხროვანის ამბოხი, სადაც ჩანან დედაქალაქის მაშინდელი მერი გიგი უგულავა, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. ასევე ისმის ვანო მერაბიშვილის ფრაზა, რომ მას ორი გვამი სჭირდება და პრემია მაღალი იქნება...***

— ეს ფრაზა შესანიშნავად ასახავს სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიერ შექმნილი სადისტური სისტემის არსს. მე მაშინ პარლამენტის წევრი გახლდით. მაშინვე შევისწავლე მუხროვანის ე.წ. ამბოხის ამბავი. არაერთ ადამიანს ვესაუბრე, ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა ინფორმაციაზე და იმაზე, რაც მაშინ იქ მოხდა. მე პირადად ვიცნობდი გია კრიალაშვილს. ასევე პირადად შევხვედრივარ ოთანაძეს.

***— და რა გაარკვიეთ?***

— რა თქმა უნდა, ეს იყო დეპუტატის მიერ ჩატარებული არაფორმალური გამოძიება. მაშინვე დავადგინე, რომ ეს იყო თავიდან ბოლომდე სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილისა და მათი ხელქვეითების მიერ დადგმული სცენარი. არავითარი ამბოხი მუხროვანში არ მომხდარა.

***— რაში სჭირდებოდათ ინსცენირება?***

— ეს არის არსებითი კითხვა: საქმე ის არის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ერთი მხრივ, ქართულ ჯარში მრავალი ოფიცერი და ჯარისკაცი იყო დიდად შეურაცხყოფილი სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების მოქმედებით. ჯარი შეურაცხყოფილი იყო. ქართული საჯარისო ნაწილები, ზოგადად ჯარი რომ შეურაცხყოფილი იყო, ეს არაერთხელ აღნიშნეს მაშინდელმა სამხედრო ექსპერტებმა, მაგალითად, ლიკლიკაძემ, სესიაშვილმა, აწ განსვენებულმა კაციტაძემ. მაშინ ჯარში ნამდვილად იყო დუღილი, მაგრამ დუღილი იყო არა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ადამიანებმა, რომლებმაც ნახეს ქვეყნის მთავარსარდლის, პრეზიდენტის საქციელი, ასევე ის, თუ როგორ გაწირეს უაზროდ ჯარისკაცები 2009 წლის აგვისტოში და შემდეგ როგორ ჩააბარეს მტერს ჩვენი ტერიტორიები, იარაღი. გაიხსენეთ, რა მოხდა კოდორის ხეობაში. კოდორის მიმართულებით ბრძოლა არც კი ყოფილა. არსებობს პუბლიკაციები, თუ როგორ ჩააბარეს კოდორის ხეობა. იგივე შეიძლება ითქვას სენაკის ბაზაზე. მთავარია ის, რაც მოხდა ცხინვალის რეგიონში, სადაც ერთდღიანი ბრძოლა იყო და არა ხუთდღიანი, როგორც ამას ამბობენ. ადამიანები უაზრო ცეცხლში ჩააგდეს. ეს იყო ჯარისთვის დიდი შეურაცხყოფა.

***— თქვენ ამბობთ, რომ აგვისტოს ომს უკავშირდებოდა მუხროვანის ე.წ. ამბოხი?***

— დიახ, დიახ, სწორედ აგვისტოს ომსა და იქ განვითარებულ მოვლენებს. ეს იყო ინსცენირება. მაშინ ამისთვის გადაისროლა სააკაშვილმა ახალაია თავდაცვის სამინისტროში და დავით სიხარულიძე კეზერაშვილის გადადგომის შემდეგ რეალურად ნომინალური ფიგურა იყო. შესანიშნავად ფლობდნენ ჯარის განწყობასთან დაკავშირებით ინფორმაციას, თუ რა განწყობები ჰქონდათ ოფიცრებს. მოგეხსენებათ, როგორ სასტიკად აწამეს და მოკლეს ოფიცერი როინ შავაძე. ეს ფაქტი დღემდე არ არის გამოძიებული. ასევე მოკლულ იქნა დავით ცინდელიანი. ასეთი დაშინებისა და ტერორის პრაქტიკა უნდა გაგრძელებულიყო. ამიტომ მოხდა ეს ინსცენირება. ჯარის შიგნით მაქსიმუმი რაც შეიძლება ყოფილიყო იყო ის, რომ ალლუმში არ მოინდომებდნენ მონაწილეობას. საბაბს ეძებდნენ, მეტიც, იმასაც ვერ გამოვრიცხავ, რომ ალლუმში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხიც ინსპირირებული იყო სააკაშვილ-მერაბიშვილ- ადეიშვილის ჯგუფის მიერ. მათთვის მთავარი იყო დატერორების ოპერაციის ჩატარება. ეს ოპერაცია ჯარის მიმართ სანიმუშო, სამაგალითო უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს არის ის, რაც მე მაშინ დავადგინე. მე მაშინ დავადგინე, რომ ოთანაძისა და კრიალაშვილის დაკავება საერთოდ არ ყოფილა. არც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მათ. ისინი ჩასხდნენ მიკროავტობუსში, სადაც ფანერის მეორე მხარეს მკვლელები ისხდნენ. სწორედ იმ მკვლელებმა გახსნეს ცეცხლი. დაკავების ოპერაცია კი არ დაწყებულა, რომლის დროს ოფიცრებმა ოთანაძემ და კრიალაშვილმა გაუწიეს წინააღმდეგობა იარაღით ხელში და, შესაბამისად, მეორე მხარემაც გამოიყენა იარაღი, არა. ეს ადამიანები ჩაცხრილეს. ჩემთვის პირადად მერაბიშვილის ფრაზა აბსოლუტურად ჯდება იმ ჭეშმარიტების დამამტკიცებელ საბუთად, რაც მაშინ გამოვიკვლიე. მინდა, ხაზგასმით განვაცხადო, რომ გავრცელებული მასალა არ წარმოადგენს სატელეფონო საუბრის ჩანაწერს. საუბარია აუდიო-ვიდეო ჩანაწერზე. სახეზეა მასალა, სადაც კადრი არსებობს და არსებობს ხმაც, აუდიოჩანაწერიც. რას ნიშნავს ეს? სატელეფონო ჩანაწერზე, როგორც წესი, რთულია იმის თქმა, რომ საქმე გვაქვს ნივთმტკიცებასთან, ვინაიდან ხმის იმიტაცია ხდება. თუმცა მე პირადად არ მეპარება ეჭვი, რომ მერაბიშვილი უტიაშვილს ფოტორეპორტიორებზე საშინელ ფრაზას ეუბნება, უკაცრავად, მაგრამ ბევრჯერ დაიბეჭდა და გახმოვანდა — რა ქენით...

***— თქვენ პირადად იცნობთ მერაბიშვილს და ამიტომ გეკითხებით, ასეთი ლექსიკა ჰქონდა მას?***

— დიახ, არათუ ჰქონდა, მხოლოდ ამ ლექსიკით საუბრობდნენ. ესენი სხვა ლექსიკას საერთოდ არ ფლობენ. იმიტომ იყო, რომ საჯარო გამოსვლებშიც წარამარა წამოსცდებოდათ ხოლმე სააკაშვილსაც და სხვებსაც მსგავსი სიტყვები. როდესაც მერაბიშვილის სააკაშვილთან საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდა, სადაც ეუბნება, მიშა, ყველა შპიონია, ყველა გარკვეული ასაკისა და გარკვეულ სტრუქტურებში ნამუშევარი ადამიანი, ეს საუბარი მიმდინარეობს მერაბიშვილის მიერ უწყვეტი დედის გინების ფონზე. სააკაშვილმა თავის დროზე თქვა — ქურდებს დედას... და ა.შ. ეს მათი ლექსიკონია. მათი ლექსიკონია, მაგრამ მთავარი არის ის, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამ ჯგუფმა მალევე დაიწყო ისეთი ქმედება და პოლიტიკის გატარება, რომ მათი პირადი მიზნები ნებისმიერ საშუალებას ამართლებს. ადამიანის სიცოცხლე, თუნდაც დამნაშავის, რადგან კანონი დამნაშავის სიცოცხლესაც იცავს, ხელშეუხებელია. კრიალაშვილი და ოთანაძე რომ ყოფილიყვნენ რაღაცაში დამნაშავენი, მათი ჩაცხრილვის უფლება არავის აქვს, მეტიც, ეს მძიმე დანაშაულია.

***— გივი თარგამაძემ განმარტებები გააკეთა. რამდენად საკმარისი იყო მისი განმარტება?***

— გივი თარგამაძემ ამ გამოსვლაში მორიგი უაზრობა თქვა. ასეთივე უაზრობა თქვა როინ შავაძის მკვლელობაზე. ადამიანს ჯერ ყველა ძვალი გადაუმტვრიეს და მერე 20-ზე მეტი ტყვია ესროლეს. მაშინ თარგამაძემ პარლამენტში უტიფრად განაცხადა, რომ ნარკოტიკების გამო იჭერდნენ და საპასუხო სროლის შედეგად გარდაიცვალა. საპასუხო სროლის შედეგად მოკლული ადამიანი დაკავებისას შეიძლება ორი დღის შემდეგ აღმოაჩინო სადღაც და ყველა ძვალი გადამტვრეული ჰქონდეს.

***— პროკურატურამ გამოძიების შესახებ გააკეთა განცხადება. რას ელოდებით, რა შედეგებს დადებს გამოძიება?***

— გამოძიება უკვე დაიწყო და გამოძიების შედეგების დადება ჩვენ, საზოგადოებამ, კატეგორიულად უნდა მოვითხოვოთ. სპეციალისტს არ გაუჭირდება, ვიდეოჩანაწერის მიხედვით აღადგინოს სრული ფრაზა, რასაც ამბობს მერაბიშვილი. თუმცა, მე მინდა აღვნიშნო, რომ თუ სატელეფონო ჩანაწერზე ყოველთვის ჩნდება ეჭვი, თუმცა ეს ეჭვები პირადად არ მიჩნდება, ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, სახეზეა სრული ვერსია. ამიტომ გამოძიებას არ გაუჭირდება გვითხრას, რა მოხდა. ამ საკითხში გამართლება შეუძლებელია. კიდევ ერთი მტკიცებულება შემოვიდა, რომ მუხროვანის ინციდენტი თავიდან ბოლომდე დადგმული იყო სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიერ. დადგმული იყო ჩვენი ჯარის დაშინებისთვის.

***— როგორ ფიქრობთ, საიდან შეიძლებოდა, ეს ვიდეო სოციალურ ქსელში მოხვედრილიყო? ვის ხელშია ეს მასალები და ვინ ავრცელებს? ბოლო დროს გახშირდა სკანდალური ჩანაწერების გავრცელება...***

— ისე, როგორც ბედუკაძის შემთხვევაში, ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასეთ მასალებს იღებდნენ. იმ შემთხვევაშიც კი იღებდნენ, როდესაც თავად ჩადიოდნენ უკანონობას.

***— ეს სააკაშვილის ხელისუფლების სტილი იყო? რატომ იღებდნენ?***

— ადამიანები საკუთარ თავს იცავდნენ, მომავლისთვის ემზადებოდნენ. დავით ცინდელიანის გატაცება და შემდეგ მისი გადაყვანა ბათუმში იმ ოფიცრებმა განათავსეს ქსელში, რომლებიც ამის მონაწილეები იყვნენ, მაგრამ ჭკვიანურად მოიქცნენ, უცხოეთში მცხოვრები ქართველის მეშვეობით განათავსეს ქსელში ეს ინფორმაცია. ინფორმაცია ყოველთვის ჟონავს. მუხროვანის ვიდეო სამჯერ ვნახე, არის მომენტი, როდესაც ვილაც ფორმიანი კამერას ხელს აფრებს, მაგრამ, ცხადია, რომ იმათიანია. ვისგან გავიდა ეს მასალა სოციალურ ქსელებში, იმ ადამიანისგან, ვინც იღებდა თუ იმისგან, ვინც სპეცოპერაციის უშუალო მონაწილე იყო, რთული სათქმელია, მაგრამ, ფაქტია, რომ ძალიან ბევრ რამეს იღებდნენ. სატელეფონო საუბრები გაიხსენეთ არველაძის, სააკაშვილის ტიმოშენკოსთან, გივი თარგამაძისა ქართველ კანონიერ ქურდებთან, რომელიც ხვდებოდა საჯარო სივრცეში. კვალი რჩება, მართალია, ყველაფრის არა, მაგრამ ძალიან ბევრი კვალი, როგორც წესი, რჩება.

# ვანო მერაბიშვილი: მე 2 რუსი ოფიცრის გვამს ვითხოვდი“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შეკვეთა, ამ განცხადებიდან, რომელიც მოისმინეთ, ერთ საათში ამ დანაყოფის მიერ სხვადასხვა ფორმით დაკავებული იქნა მინიმუმ 15 ადამიანი. სოფელ მუხროვანთან დაკავებული იქნა რამდენიმე კაციანი ე.წ. რეინჯერების ჯგუფი, თუ არ ვცდები 5-7 ადამიანი და არც ერთი მათგანის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ. გარდა ამისა, დაკავებული იქნენ ორგანიზატორები და ასე შემდეგ. ამ დღიდან, სამი კვირის თავზე, გლდანში ჩატარებული ოპერაციისას დააკავეს ოთანაძე და მისი ჯგუფი. ის დანაყოფი, რომელმაც ჩაატარა ოთანაძის დაკავების ოპერაცია, საერთოდ არ იმყოფებოდა მუხროვანის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, არავითარი კავშირი ამ ორ მოვლენას შორის არ არსებობს. ყველა მასალა, როგორც პირველი, ასევე მეორე ოპერაციის შესახებ, რომელთა გადაბმასაც ცდილობენ პოლიტიკოსები, ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროში. მე მინდა მოვუწოდო პროკურატურას მიუკერძოებლად შეისწავლონ ეს საკითხი. მე ვარ ცამდე მართალი ამ საქმეში.

მე ღმერთმა მარგუნა 2008 წლის ომის დროს, კოდორის ოპერაციის დროს, ამ აჯანყების დროს ვყოფილიყავი ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი და ჩემს სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ერთიანობა და გადარჩენა. მე არასოდეს არ გამიცია ბრძანება არცერთი ადამიანის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით და აქვე ჩანს, რომ ჩვენ ვეძებთ იმ ორი რუსი ოფიცრის, „მრჩევლის“ გვამს, რათა დავამტკიცოთ მათი კავშირი, რადგან ჩვენი ინფორმაციით ისინი თავიდან მოიცილეს. ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ განხორციელდა რამდენიმე ადამიანის დაკავება, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც მიატოვეს და გაიქცნენ მუხროვანის ბაზიდან 5-7 კილომეტრის მანძილის. ამ დანაყოფებმა, რომლებსაც მე ვუტარებ ინსტრუქტაჟს და დავალებებს ვაძლევ, ამ ადამიანებმა აიყვანეს სისხლის ღვრის გარეშე 7 კაციანი ჯგუფი. ეს ის რეინჯერები არიან რომლებიც წავიდნენ მუხროვანში და იქ დაიწყეს ამბოხი. ყველას ახსოვს მუხროვანის ხელმძღვანელის განცხადება, რომ გამოყვანონ ტანკები, თუმცა მათ, იმის გამო, რომ დიდი მასა ბატალიონისა არ დაემორჩილა, ვეღარ შეძლეს ქალაქში ამ ტანკების ჩამოყვანა.

მე, ერთის მხრივ ვთვლი, რომ ყველაფერში ვარ მართალი და მეორეს მხრივ მოვუწოდებ სამართალდამცავ ოგანოებს, ისინი არ არიან პოლიტიკოსები, იყვნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები. ყველა მასალა და დოკუმენტი არის შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ ადამიანებიდან ბევრი დღესაც მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში. დანარჩენები, ვინც არ მუშაობენ, საქართველოში არიან და ძალიან ადვილია ამის დადგენა. მე მინდა მოგახსენოთ, რომ როდესაც მოხდა ოთანაძის ჯგუფის დაკავება, მაშინ დაიჭრა თავად ოთანაძე და ამირიძე. მინდა გითხრათ, რომ პირადად მე ვთხოვე ჩემ მეგობარს გივი თარგამაძეს და შეგიძლიათ გადაამოწმოთ, მოახდინა თუ არა გივი თარგამაძემ დარეკვა საავადმყოფოში და მოითხოვა თუ არა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ამ ადამიანებისათვის, არა მარტო იმიტომ, რომ ესენი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, არამედ იმიტომაც, რომ ეს ადამიანები იყვნენ მატარებლები ჩვენთვის ძალიან საინტერესო ინფორმაციის, თუ როგორ დაგეგმა რუსულმა სპეცსამსახურებმა ეს აჯანყება.

მე ამით დღეს დავასრულებ. მე მზად ვარ, როგორც ყოველთვის, ყველა შეკითხვას ვუპასუხო და ყველანაირი ინფორმაცია მივაწოდო სამართალდამცავ ორგანოებს, ვისაუბრო ყველა იმ დეტალზე, რომელიც სპეცოპერაციის დროს მოხდა. ის ფაქტი, რომ მე კამერების წინ თავისუფლად ვლაპარაკობდი, ეს მიანიშნებს იმას, რომ ვიყავი მართალი მაშინაც და მართალი ვარ დღესაც. მესმის, რომ ბევრისთვის შეიძლება მომგებიანია დღეს ამ განცხადების გაკეთება რაც გააკეთეს, იმ ფონზე როდესაც დასასრულს უახლოვდება სასამართლო პროცესები ჩემს წინააღმდეგ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი მხარდაჭერების, სასამართლოს და საზოგადოების თვალში ჩვენ გამოვჩნდეთ როგორც მკვლელები და მკვლელობის შემკვეთები. მე ამაყად შემიძლია ჩავხედო თვალებში ჩემს მეგობრებს, ჩემს ოჯახის წევრებს და მე შემიძლია ვიამაყო, რომ მომიწია ასეთ გადამწყვეტ მომენტში ყოფნა ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე და ასეთი წვლილი შემეტანა იმისათვის, რომ დღეს საქართველო არის ერთიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც ნაკლებად ემუქრება საფრთხე რუსეთის ზეწოლისაგან, ვიდრე ეს დაემუქრა თუნდაც უკრაინას ან სხვა ჩვენს მეზობელ ქვეყნებს. დიდი მადლობა!, — აღნიშნულია მერაბიშვილის განცხადებაში.

როგორც სჩანს ამ კადრების გავრცელებამ მასზე სერიოზული გალენა ჰქონია. გუშინდელ სასამართლოზე მან იტირა კიდევაც. თუმცა ამ ცრემლების მიზეზი სხვა რამე იყო. მერაბიშვილის მტკიცებით, მის ოჯახზე ზეწოლა ხორციელდება და ამან აატირა.

## ნინო ბურჯანაძე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, გუშინ სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ვიდეოკადრებმა კიდევ ერთხელ ძალიან ნათლად დაგვანახა, რომ “ნაციონალური მოძრაობა” იყო დანაშაულებრივი ორგანიზაცია და ის, რომ ამ ორგანიზაციის სახით საქართველოს მართავდა არა პოლიტიკური ძალა, არამედ კრიმინალებისგან შემდგარი ტერორისტული ერთობა, რომელიც ყოველდღიურად არღვევდა კანონს და ფეხქვეშ თელავდა ელემენტარულ ფასეულობებს.

„სამწუხაროდ, გუშინწინდელმა კადრებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა ახალი ხელისუფლების უსუსურობა და უნიათობა, რომ ყველაფრისთვის დაერქვა ნამდვილი სახელი. ის, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიცალა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების გამოძიებისათვის, როგორიც იყო თუნდაც ე.წ მუხროვანის ამბოხი, 26 მაისი და სხვა საკითხები, ის რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ვანო მერაბიშვილი ბედავენ გველაპარაკონ როგორც პოლიტიკური ოპონენტები, ეს სწორედ „ქართული ოცნების“ უსუსურობის და მათი დანაშაულებრივი კოჰაბიტაციის დამსახურება გახლავთ“, — განაცხადა დღეს გამართულ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, დანაშაული იყო კოჰაბიტაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, დანაშაულია დღესაც კოჰაბიტაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“, დანაშაული იყო გარიგება ამ ძალასთან საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რამაც უზრუნველყო „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე პოლიტიკურ ძალად დაფიქსირება.

„აბსოლუტურად ცხადია, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ცდილობენ ახალი „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ილაპარაკონ, ასევე მოკლებულნი არიან ელემენტარულ ლეგიტიმურობას და მორალურ უფლებას იყვნენ პოლიტიკაში, ვინაიდან ისინი ამოფარებულნი არიან იმ შენობას, რომელზეც გამოკრულია ვანო მერაბიშვილის სურათი, როგორც პოლიტპატიმრისა და ისინი დღეს ჩვენდა გასაოცრად ერთხმად ამართლებენ ვანო მერბიშვილის გუშინდელ ჩვენ მიერ მოსმენილ დანაშაულებრივ ბრძანებას. ამ ადამიანებს არ აქვთ უფლება იყვნენ პარლამენტში, საქართველოს ხელისუფლებაში და არ აქვთ უფლება ლაპარაკობდნენ საქართველოს მოსახლეობის სახელით.

სწორედ ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი იმისათვის, რომ ქვეყანაში აღდგეს სამართლიანობა, ქვეყანა წვიდეს განვიტარების სწორი გზით საჭიროა ვადამდელი საპარლამებნტო არჩევნების ჩატარება, რომელიც საბოლოოდ დაუსვამს წერტილს ნაციონალური მოძრაობის როგორც დამნაშავე ორგანიზაციის ბოგინს საქართველოში“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# გელა ნიკოლაიშვილი: ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის გათეთრებას ცდილობს“

ნონა ცაბაძე

**ნათქვამია, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და შედეგმაც არ დააყოვნა. საზოგადოება აღშფოთებულია, შოკშია იმ ვიდეო კადრების ნახვის შემდეგ, რომელიც გუშინ ინტერნეტით გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ მშვენივრად იცის, რას წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა და რისი გამკეთებლები არიან, საზოგადოების რეაქცია საკმაოდ მძაფრი იყო. ‘პოლიტპატიმრად~ შერაცხული ვანო მერაბიშვილი გვამებს ითხოვს და მის ხელქვეითებს სერიოზულ პრემიებსაც ჰპირდება დავალების კარგად შესრულების სანაცვლოდ.**



საინტერესოა, როგორი იქნება ხელისუფლების რეაქცია ამ ყველაფერზე, რამდენად სწრაფად და ეფექტურად გამოიძიებს საქმეს პროკურატურა. საზოგადოებას იარა განუახლდა და დღეს კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით ითხოვს ნაციონალების დასჯას და მათი 9-წლიანი მმართველობის რეჟიმად აღიარებას. ვნახოთ, როგორი იქნება საპარლამენტო უმრავლესობის რეაქცია ამ ყველაფერზე, გაიზიარებენ საზოგადოების მოთხოვნებს, თუ კვლავ კოაბიტაციურ რეჟიმში გააგრძელებენ თანაცხოვრებას და ურთიერთტკბობას.

მუხროვანის ამბოხის საქმეს კარგად იცნობს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, ის მაშინ კობა კობალაძეს იცავდა. „ახალი თაობა“ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— ბატონო გელა, თქვენთვისაც ცნობილია, თუ რა რეაქციები მოჰყვა საზოგადოებაში გუშინ გავრცელებულ ვიდეომასალას. შესაძლოა ეს ყველაფერი ბევრისთვის მოულოდნელი არც იყო, მაგრამ ასე ლიად, საკუთარი ყურით მოსმენილი სულ სხვაა... როგორია თქვენი შეფასებები? კიდევ შეეცდება ნაციონალური მოძრაობა, მერაბიშვილი პოლიტპატიმრად შერაცხოს?

— მათი ახსნა, მათი პარტიული ხაზი როგორც ჩანს ისეთი იქნება, რაც გააჟღერა გივი თარგამაძემ, თუმცა კაკო ბობოხიძის კომენტარი ცოტა ამოვარდა ამ საერთო სქემიდან და ის ალბათ გარკვეულ საყვედურებს მიიღებს პარტიის შიგნით. აქ ერთი მომენტია, ბევრს შეიძლება მართლაც არ გაუკვირდა, მაგრამ ვისაც არ სჯეროდა, რომ ასეთი მკვლელობის შეკვეთები ხდებოდა, იმისთვის იყოს გასაკვირი. ეს არის მართლა მკვლელობის შეკვეთა და ეს განახორციელეს კიდეც, როდესაც ის სამი ადამიანი ამირიძე, ოთანაძე და კრიალაშვილი ჩაცხრილეს, სწორედ ეს იყო იმ ბრძანების შესრულება და ისინი აბსოლუტურად შემთხვევით, ღვთის წყალობით გადარჩნენ. ერთს 9 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მეორეს 7 თუ 8 და კრიალაშვილს მხოლოდ 3. ეს 8 და 9 ტყვია მოხვედრილი ოთანაძე და ამირიძე გადარჩნენ და კრიალაშვილი დაიღუპა. ის ფაქტი, რასაც ამბობდა გივი თარგამაძე, რომ აბა, როგორ მათ წინააღმდეგობა გაწიეს... არავითარ წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, ვერ ექნებოდა, იმიტომ, რომ ისინი სამარშრუტო ტაქსიში ჩამსხდრები იყვნენ უიარაღოდ, მაქსიმუმ შეიძლებოდა მათ პისტოლეტები ჰქონოდათ და წინასწარ მომზადებულ საფარში, „მარშრუტკის“ უკანა მხარეს, ე.წ. ბაგაჟნიკის მხარეს ჩასაფრებულმა სამმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა უცებ ამოიწია, როგორც კი ეს მარშრუტკა დაიძრა, ჩასაფრება წინასწარ იყო მომზადებული და ეგრევე ავტომატებით ჩაცხრილეს. იყო თუ არა შეკვეთის შესრულება, ეს ხალხმა განსაჯოს. შემდეგ დაკავებულ ოთანაძეს, დაადებინეს და პირდაპირ ხელისგულში ესროლეს, ამ ხელით ღუნავდი შენ რკინის ლარიანსო? საკმაოდ ძლიერი ფიზიკური მონაცემები ჰქონდა ამ კაცს. მათ ფაქტობრივად გვამები ეგონათ ისინიც და შეყარეს მანქანებში. უბრალოდ, რაღაც სასწაულმა გადაარჩინა ისინი. სწორედ რომ ასეა, ერთხელ ნანახი სჯობს ასჯერ გაგონილს და ეს გარეგნული ვიზუალური ეფექტია, თორემ შინაარსობრივად პრინციპში ჩვენთვის ახალი არაფერი ყოფილა. რეალურად ასეთი ბრძანებების გაცემა ხშირად ხდებოდა ხოლმე.

— თუმცა ზოგიერთები ამართლებენ, ეს ანტიტერორისტული ოპერაცია იყოო...

— ახლა იმით გამართლება, რომ ეს ანტიტერორისტული ოპერაცია იყო და იქ მეთიუ ბრაიზას კომენტარი, რომ როგორ კონტექსტში უნდა გავიგოთ, რომ გვამის ხსენება იქ შეიძლება, ეს არის ისევ და ისევ რაღაცა შეფუთვის და შელამაზების მცდელობა, იმ რეალობის, რომელთანაც ჰქონდათ საქმე. იმ დროს მეთიუ ბრაიზას რა თანამდებობა ეკავა, ყველას კარგად გვახსოვს და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს ისიც, რომ მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო, ისიც პირადად ამართლებდა ასეთ ქმედებებს და ბუნებრივია, ახლაც გაამართლებს. თორემ აქ აშკარად არის პირდაპირი შეკვეთა მკვლელობის და თან მაღალი თანხის საფასურად, პირდაპირ ამბობს — პრემია დიდი იქნებაო და რა ვიცი, ამაზე მეტი რა უნდა თქვას?!

— ითქვა ისიც, რომ ეს ბუნტიც თავად ხელისუფლებამ დადგაო...

— მე ვმონაწილეობდი ამ პროცესში, ვიცავდი კობა კობალაძეს და ჩემთვის ყველა დეტალი კარგად არის ცნობილი. კობა კობალაძე გამართლდა კიდეც ამ საქმეში, 8– თვიანი პატიმრობის შემდეგ მას მხოლოდ იარაღის უკანონო შენახვისთვის მიუსაჯეს რვა თვე და ათი დღე და განაჩენის გამოტანის დროს ის დარბაზიდან გაათავისუფლეს. თუმცა იქ ბევრი იყო დაპატიმრებული, 15 კაცზე მეტი და იქ ყველას სხვადასხვა ბრალდებები ჰქონდათ, თუმცა ძირითადი მაინც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდება იყო. მე შემიძლია ერთი ვთქვა, რომ იქ ბუნტის ნიშნები მართლაც არ იყო, მაგრამ ის რომ დაუმორჩილებლობის ნიშნები იყო, გარკვეული მიზეზების გამო, ეს ფაქტია, მაგრამ ხელისუფლებას შემდეგ დასჭირდა ეს დაუმორჩილებლობა და ამ დაუმორჩილებლობასაც თავისი პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ისინი არც გარეთ გამოსულან, უბრალოდ, პროტესტი გამოთქვეს კონკრეტული მიზეზის გამო, რომ მათ აიძულებდნენ 26 მაისის პარადში მიეღოთ მონაწილეობა, იმ დროს, როდესაც წაგებული ომიდან ჯერ წელიც კი არ იყო შესრულებული და იმ დახოცილი ბიჭების სისხლიც კი არ იყო ჯერ შემშრალი და აი, სწორედ ამაზე იქნა პროტესტი გამოთქმული, რომ ჩვენ საზეიმო რეპეტიციებზე არ ვივლით და არ აპირებდნენ ამ აღლუმში მონაწილეობის მიღებას. ეს ჩათვალეს ბუნტად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად და რა ვიცი, რაღას არ დაუკავშირეს. რა თქმა უნდა, ეს ხელოვნურად იყო გაბუქებული და სჭირდებოდათ იმისათვის, რომ გადაეფარათ ის საპროტესტო ტალღა, რომელიც იმ დროს ქალაქში იყო, ე.წ. კარვების აქციის სახით. მათ უნდოდათ, რომ რაღაცნაირად დაეკავშირებინათ ერთმანეთთან ეს კარვების აქცია ამ სამხედროების მიერ გამოხატულ პროტესტთან.

— არ არის დრო, გამოფხიზლდეს ამჟამინდელი ხელისუფლება, როდესაც მაპატიეთ და რაღაც სულელურ თემებზე ედავებიან მერაბიშვილს, იმართება სასამართლო პროცესები დასაქმების საქმეზე, მაშინ, როდესაც მერაბიშვილი თავისი პირით აცხადებს „გვამები მჭირდებაო“... არ არის დრო, აღიაროს საპარლამენტო უმრავლესობამ, რა რეჟიმთან გვქონდა საქმე?

— ამას უკვე დიდი ხანია ვამბობ და ჩემთან ერთად საკმაოდ ბევრი ადამიანი ამბობს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება დაკავებულია იმით, რომ პირიქით გაათეთროს ნაციონალური მოძრაობა. იგივე დათო უსუფაშვილის სიტყვები, რომ ქართული დემოკრატიის ამოცანაა, რომ გადაარჩინოს ნაციონალური მოძრაობა... მართალია დასავლეთიდან არის სერიოზული შეტევა, ერთხელ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ თუ კიდე ვინმეს დავიჭერდით, მაშინ უნდა დავმშვიდობებოდით ფიქრსო ვილნიუსის სამიტზე რაიმე წარმატების მიღწევისო. როგორც ჩანს, ეს პირობები დაუყენეს, მაგრამ...

— ბატონო გელა, რეალურად თუ დაუდებენ ფაქტებს, მასალებს?

— აი სწორედ ეგ უნდა მეთქვა, როდესაც რეალურად შენ დაუდებ ამ მასალებს და როდესაც სისტემურ ხასიათს დაანახვებ, ამ ანტიდემოკრატიული რეჟიმის, რა თქმა უნდა, ისინი ვეღარ მოგთხოვენ იმას, რომ შენ გადაარჩინე, გაათეთრე და ასე შემდეგ.

— ალბათ, ახლა ჯერი პროკურატურაზე და მის აქტიურობაზეა...

— დიახ, ასეა. საერთოდაც ჯერი პროკურატურაზე თავიდანვე იყო, მაგრამ თავიდანვე გავიძახი, რომ პროკურატურაში 80% კადრების, თუ მეტი არა, არის ძველი. ეს ის კადრებია, რომლებიც ერთი მხრივ არის დეკვალიფიცირებული, იმიტომ, რომ არანაირი მოტივაცია არ ჰქონდათ მათ, რომ კარგად ემუშავათ საკუთარ თავზე, კვალიფიკაცია აემაღლებინათ და სულ ფორმაში ყოფილიყვნენ. ძალიან მარტივად იყო ყველაფერი, ნებისმიერ ჩვენებას მიიღებდნენ, დაავალებდნენ თავიანთ ჯალათებს, საპყრობილეში რა დღეში უნდა ჩაეგდოთ ესა თუ ის პირი. თქვენ იცით მათი წამების ფორმები და პრაქტიკულად გამორიცხული იყო, რომ სასურველი ჩვენება არ მიეღოთ. ამიტომ გამოძიების ოსტატობა და გამომძიებლის კვალიფიკაცია, რომელიც ნებისმიერი საქმის გახსნისთვის იყო საჭირო, მათ უბრალოდ დაუჩლუნგდათ და არ განუვითარდათ. მეორეც, ისინი იმ სისტემის ნაწილები და შესისხლხორცებულები იყვნენ და ბევრ მათგანს ნოსტალგია აქვს იმ პერიოდის და სულაც არ უნდათ, რომ ის ძველი შეფები გამოაშკარავდნენ, რომელთა დანაშაულსაც თვითონაც ინაწილებდნენ. ასე რომ, საქმე გვაქვს ერთი მხრივ, არაკვალიფიციურობასთან, მეორე მხრივ, საბოტაჟის ნიშნებთან და აი ეს არის ის მიზეზები, რომლის გამოც პროკურატურა არაეფექტურად მუშაობდა ამ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში.

— ჩვენ საუბრის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რომ საკმაოდ გალიზიანებულია საზოგადოება, განსაკუთრებული აქტიურობა მიდის სოციალურ ქსელებზე. იქმნება ჯგუფები, რომლებიც აპირებენ, მიმართონ პარლამენტს, რომ სასწრაფოდ დადგეს საკითხი და მოხდეს რეჟიმის შეფასება. თქვენი აზრით, რამდენად გაიზიარებს ამას საპარლამენტო უმრავლესობა, არიან ამაზე წამსვლელები. ასევე აქტიურად ისმის მოთხოვნები ვადამდელი არჩევნების შესახებ...

— მე ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე საპარლამენტო უმრავლესობა არ არის მზად ამისთვის. იქ შეიძლება უმრავლესობის უმცირესობა იყოს მზად ამისთვის. ლოგიკურად ამას მართლაც უნდა მოჰყვეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, იმიტომ, რომ დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენელი 40% არის შესული პარლამენტში და ეს სრულიად არაადეკვატურად ასახავს ძალთა რეალურ ვითარებას. მე ვფიქრობ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ეტაპზე სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, რომელიც ივნისშია დანიშნული. არ გამოვრიცხავ, რომ ამის შემდეგ შემოდგომაზე ისევ და ისევ დადგეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობა, მაგრამ დღესდღეობით მთელი ყურადღება მაინც გადატანილი უნდა იყოს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე. სადაც, მე რატომღაც მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობაც და ქართული ოცნებაც, განწირული არიან წარუმატებლობისთვის. თუმცა ჯერჯერობით არ არის კონსოლიდაცია დანარჩენ ოპოზიციაში, რომ მათ აიღონ ის საპროტესტო მუხტის მქონე ხალხის ხმები, რომლებიც მოტივირებულები არიან, რომ არც ერთს მისცენ ხმა და არც მეორეს ამ ორ ძალას შორის. თუმცა, რა თქმა უნდა, ახლა 10%-ის ფარგლებში, თავისი სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას და ის მიიღებს ამას. ასევე თავისი 30-40%-ის ფარგლებში ასევე ალბათ დღესდღეობით თავისი ამომრჩეველი ჰყავს ქართულ ოცნებას, მაგრამ ის დანარჩენი 40-50% ხმების ჯერჯერობით ჰაერშია გამოკიდებული და აი, ამაზე უნდა იზრუნოს იმ ოპოზიციურმა ძალებმა, რომლებიც არ არიან პარლამენტში წარმოდგენილი.

— ალბათ, ამ შემთხვევაში ჯერი უკვე საზოგადოებაზე, მის აქტიურობაზე და მის დამოკიდებულებაზეა...

— რა თქმა უნდა. ჩვენ შეიძლება, ერთი მხრივ წარმოვიდგინოთ ის, რომ ამ ფაქტს რაღაცა მასობრივი გამოსვლები მოჰყვება, შეიძლება ხელოვნური მუხტიც იყოს იგივე ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. მე მასობრიობას არ ველოდები, თუმცა გარკვეული შემთხვევები იქნება ამ გამოსვლების, მაგრამ მასობრიობას რაც შეეხება, ეს მასობრიობა უნდა გამოიხატოს ცივილიზებულად, სწორად არჩევნებში და არა ქუჩებში. თუმცა ცალკეული ლოკალური გამოსვლები და პროტესტები, თუნდაც კონკრეტული ჯალათების, მათი მფარველების სახლებთან და ოფისებთან, ეს ჩვეულებრივი და მოსალოდნელი ამბავიც არის და ამაში ტრაგედიაც არაფერი არ არის. თუმცა ეს სიტუაციას ვერ შეცვლის, ეს უნდა შეიცვალოს მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებით.

— სხვათა შორის, ითქვა, რომ იგეგმება ასეთი საპროტესტო გამოსვლები, რომ პარლამენტმა თავისი სახელი დაარქვას ყველაფერს და მოხდეს რეჟიმის შეფასება...

— სხვათა შორის, არ იქნება ეს ცუდი და ვნახოთ, რამდენად აქტიური იქნება საზოგადოება. თუმცა ვიმეორებ, რომ დღეს ჩემი შეფასებით პარლამენტი ამისთვის მზად არ არის.

## შაურმა მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა

უკვე ცნობილია იმ შაურმის ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომელმაც 24-25 იანვარს ბათუმში ოცამდე ადამიანის მოწამვლა გამოიწვია.

როგორც „მედიანიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ბათუმში, ჭავჭავაძის 7-ში მდებარე საშაურმედან ნიმუშები ინფორმაციის მიღებისთანავე აიღეს და შესამოწმებლად აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ "ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს" გადაუგზავნეს, ბიზნესოპერატორს კი საწარმოო პროცესი შეუჩერეს.

კვლევით დადგინდა, რომ შაურმაში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, კერძოდ, მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ ანაერობული მიკროორგანიზმები აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. ნიმუშში აღმოჩნდა ასევე ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები).

აღნიშნული დარღვევების გამო ბიზნესოპერატორი კანონმდებლობის შესაბამისად, 1000 ლარით დაჯარიმდა.

**მედიანიუსი**

# გია ხუხაშვილი: ნაცმოძრაობა მკაცრი კანონების მქონე კრიმინალური ორგანიზაცია იყო“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ ექსპერტ გია ხუხაშვილთან

***— ბოლო ხანს პრესაში ადმირალ ირემაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაციები, აქ კეზერაშვილის, სააკაშვილის და მისი ბიძის, თემურ ალასანიას გვარებმაც გაიჟღერა. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ კეზერაშვილის საქმე საფრანგეთის გამოძიებამ უნდა გამოიძიოს და ეს გამოკვეთს ბევრ საინტერესო დეტალს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

— მე ირემაძის საქმესთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, ამ საქმეს არ ვიცნობ, მაგრამ გამომდინარე წინა ხელისუფლების ბუნებიდან, და ამ ე.წ. ბიზნესის ბუნებიდან, გამორიცხული არაფერია, ყველაზე მძიმე შემთხვევებიც კი, იარაღის უკანონო ვაჭრობა გულისხმობს მკვლელობებს და სხვა მძიმე დანაშაულობებსაც, მაგრამ კონკრეტულად ვერ გეტყვით. რაც შეეხება კეზერაშვილის გადმოცემას, შეიძლება კარგი იყო, რომ ფრანგულ მხარეს გამოეძია, მაგრამ მეორე მხრივ, ისმის კითხვა — რამდენად არის ეს საქმე ფრანგი გამომძიებლების გამოსაძიებელი. იურისტი არ ვარ, მაგრამ მესმის, რომ არც დანაშაული მომხდარა საფრანგეთის ტერიტორიაზე და არც კეზერაშვილია საფრანგეთის მოქალაქე.

***— საააკაშვილმა დაადასტურა თავისი გახმაურებული წერილით, რომ კეზერაშვილი ნაცმოძრაობისთვის ფინანსების მოზიდვით იყო დაკავებული, თუ დადასტურდება, რომ ეს თანხები ე.წ. შავი ფული იყო და იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან იყო კავშირში, როგორ ფიქრობთ, არ უნდა დადგეს საკითხი, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი პოლიტიკური ორგანიზაცია, აიკრძალოს?***

— ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ნაცმოძრაობა არა მარტო საქმიანობით, არამედ სტრუქტურულადაც კი იყო მაფია. იქ არ იყო დაყოფილი ყველაფერი სახელმწიფო კომპეტენციებით, მოდელი, რითიც მოქმედებდა ეს ორგანიზაცია, მიახლოებული იყო კრიმინალური ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობასთან. შესაბამისად, ჩემთვის ეს საკითხი დიდი ხანია დახურულია და მე ვთვლი, რომ ნაცმოძრაობა იყო მკაცრი კანონების მქონე კრიმინალური ორგანიზაცია, სხვა საკითხია, სამართლებრივად ეს როდის და როგორ გაფორმდება, ბევრი ინფორმაცია მაქვს იმის დასადასტურებლად, რომ თვითონ სისტემა იყო კრიმინალური, ამ ორგანიზაციისთვის არ არსებობდა არც სახელმწიფოებრივი, არც მორალური, არც ზნეობრივი პრინციპები და ეს სისტემა მუშაობდა მხოლოდ საკუთარ პირად ინტერესებზე, ჩათვალეთ, რომ თქვენს კითხვას მე დადებითად ვუპასუხე.

***— ბადაშვილიც ისევე როგორც მისი წინამორბედი ფარცხალაძე, ფინანსური პოლიციის კადრია. ამ დროს ისინი ნაკლებად ცნობილი პიროვნებები არიან საზოგადოებისთვის და ამავე***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გიორგი თევზაძე: ადვოკატებს უფლებები ჩამოართვეს“

გულიკო ბალაძე



უფლებადამცველი გიორგი თევზაძე, რომელიც გახლავთ ასევე ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მოითხოვს, პარლამენტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს მოწმის სასამართლოში დაკითხვის საკითხს და შეცვალოს გადაწყვეტილება მოწმის სასამართლოში დაკითხვის წესის ორი წლით გადავადებასთან დაკავშირებით.

გიორგი თევზაძის აზრით, ეს მხარეთა თანასწორობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია და ავტომატურად ნიშნავს მოწმის სათანადო დაცვის გარეშე დატოვებას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ პარლამენტმა ორი წლით გადაავადა მოწმის დაკითხვა სასამართლოში. მიზეზად სისტემის, სასამართლოების მოუმზადებლობა დასახელდა. ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ამ ვითარებაში რჩება ალბათობა, რომ კვლავ გაგრძელდება მოწმეებზე ზეწოლა წინასწარი გამოძიების პროცესში.

– საზოგადოება იმედოვნებდა, რომ სსს კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები მოწმის მხარეს მისცემდა შესაძლებლობას, დაცვის მხარის პირველი ჩვენება მოესმინა სასამართლოზე. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი წინსვლა იქნებოდა თავად კოდექსისა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებისთვის. თუმცა, პარლამენტმა ეს საკანონმდებლო ცვლილება ორი წლით გადადო, რაც მხარეთა თანასწორობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია და ავტომატურად ნიშნავს მოწმის სათანადო დაცვის გარეშე დატოვებას. აღნიშნული გადაწყვეტილება უარყოფითად აისახება სამართლიანი მართლმსაჯულების პრინციპების დაცვაზე, რომელიც ევროპული კონვენციითაა განსაზღვრული. კარგი იქნება, თუ პარლამენტი კვლავ გადახედავს თავის გადაწყვეტილებებს და არ დაუშვებს ამ მნიშვნელოვანი კანონის მიღების გადავადებას, – განაცხადა გიორგი თევზაძემ პრესკონფერენციაზე.

გიორგი თევზაძის განცხადებით, თუ გვინდა, დაცვისა და ბრალდების მხარე თანაბარ პირობებში ჩადგეს, აუცილებელია, მოწმე დაიკითხოს სასამართლოში ანუ საპროცესო კანონში შევიდეს ცვლილებები.

– სამწუხაროდ, ბრალდებას აქვს ყველანაირი უფლებები, ხოლო დაცვის მხარე უუფლებოა. ადვოკატს უფლება არ აქვს, პირველადი დაკითხვა თავად განახორციელოს. მოვითხოვდით, პირველადი დაკითხვა ადვოკატებს განგვეხორციელებინა იმის გამო, რომ მოწმეზე ვინმეს ზეწოლა არ მოეხდინა ან არ მომხდარიყო დაშინება, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

ამ საკითხის პარლამენტში განხილვისას საკანონმდებლო ცვლილების გადადების მიზეზად მოუმზადებლობა დასახელდა. ადვოკატები კი აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ამ პროცესისთვის.

– კუბლაშვილმა განაცხადა, რომ სასამართლო ამისთვის მზად არის, მაგრამ წინააღმდეგია ბრალდების მხარე ანუ პროკურატურა და დაცვის მხარე – ადვოკატები. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ასე რომ არ ყოფილიყო, ადვოკატთა ასოციაცია არ წამოსწევდა ამ საკითხს. მე, როგორც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, კიდევ ერთხელ ვაყენებ ამ საკითხს, რომ პარლამენტი დაუბრუნდეს. ზოგიერთ პარლამენტარს ავიწყდება, რომ ორი წლის შემდეგ მათი სადეპუტატო ვადა ამოიწურება და ისინი, ვინც მხარს არ უჭერენ ამ კანონპროექტს, საპარლამენტო ვადის გასვლის შემდეგ კვლავ ადვოკატობას დაუბრუნდება. ამდენად, მათ ისევე გაუჭირდებათ არსებული რედაქციით საქმიანობა და დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელება. რა დააშავა რიგითმა მოქალაქემ, ბრალდებულმა, როდესაც თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მიმართავს დაცვის მხარეს. როგორ დაიცავს ადვოკატი ასეთ პირს, თუ ამის საშუალება კანონმა არ მისცა, დაცვას არ მიეცა ლეგიტიმური მოქმედების უფლება. ასეთ პირობებში ხშირია საყვედური ადვოკატების მიმართ, თითქოსდა დაცვის მხარე სუსტია. მაშინ როდესაც, პირიქით, დაცვის მხარის სისუსტე არაფერ შუაშია. ამ დროს ბრალდების მხარეს ყველაფრის უფლება აქვს ნივთმტკიცებების ამოღების, დაკითხვის, ჩხრეკის და ა.შ., ხოლო ადვოკატს მხოლოდ დათვალიერების უფლება აქვს, ასეთ არათანაბარ პირობებში შესაძლებელია დაცვის განხორციელება? ადვოკატები მაქსიმუმს აკეთებენ. მახსოვს, როდესაც სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ დათო გელაშვილის ადვოკატი ვიყავი, ძალიან დიდი ბრძოლა დამჭირდა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის სიმართლე დადგენილიყო. მაშინ მეტ-ნაკლებად ადვოკატს ჰქონდა მეტი შესაძლებლობა, განეხორციელებინა ბრალდებულის დაცვა. ახლა კი, საერთოდ, ადვოკატი და დაცვის მხარე უუფლებოა. იმედი გვქონდა, ამ ხელისუფლების პირობებში უფრო მეტი დემოკრატიულობა და თავისუფლება იქნებოდა. დღევანდელი დეპუტატები თავად ითხოვდნენ იმ ცვლილებებს კანონმდებლობაში, რასაც პარლამენტში არჩევის შემდგომ მხარი აღარ დაუჭირეს.

უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ ისაუბრა აგრეთვე ყოფილ პატიმარ დავით გაიხარაშვილის მდგომარეობაზე, რომელიც ციხეში „ციხის ბუნტისას“ დაინვალიდდა. ის გაუარესებული ჯანმრთელობის გამო სასწრაფოდ დახმარებას ითხოვს.

– დავით გაიხარაშვილი წინა ხელისუფლების დროს ციხეში სცემეს, რის შედეგად დაინვალიდდა. როგორც დავით გაიხარაშვილი აცხადებს, მის მიმართ ოპერაციების ჩატარება განხორციელდა არაკვალიფიციურად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაკვეთით. ამ ოპერაციების შედეგად იგი მწოლიარე ავადმყოფი გახდა. ამჟამად მას ესაჭიროება დაუყოვნებლივ მკურნალობა, რადგან დავით გაიხარაშვილი საწოლსაა მიჯაჭვული. მის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება. ამ ვითარებაში სახელმწიფოს მინიმუმ საქმის სრულყოფილი, ობიექტური შესწავლა და დავით გაიხარაშვილის მიმართ განხორციელებულ უკანონობებზე პასუხისმგებლობის აღება ევალება. მნიშვნელოვანია, რომ დავით გაიხარაშვილის სახელზე გამოგზავნილ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის წერილში დავით გაიხარაშვილი მოხსენიებულია, როგორც წინა ხელისუფლების რეჟიმის მსხვერპლი. ამ სტატუსით მოხდა მისი დაკითხვა მოწმის სახით, თუმცა ამის შემდგომ რაიმე ღირებული გადაწყვეტილებები დავით გაიხარაშვილთან დაკავშირებით აღარ მიუღიათ. ვიმედოვნებთ, უმოკლეს პერიოდში მოხდება მისი საქმის სრულყოფილი შესწავლა და დროული მკურნალობის უზრუნველყოფა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა, – მიაჩნია გიორგი თევზაძეს.

გიორგი თევზაძე შეეხო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარის მიერ წარმოდგენილ პროექტს, რომელიც პატიმრობის შესახებ კოდექსში დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებს შეეხება. უფლებადამცველი ფიქრობს, რომ პატიმრობის შესახებ კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებები ციხეებში ვითარების გამკაცრებას გამოიწვევს.

– არის მთელი რიგი საკითხები და ცვლილებები პენიტენციურ სისტემაში, რომელიც ექსპერტების დასკვნით და პოზიციების შეჯერებით უნდა განხორციელდეს. ვფიქრობთ, წესების გამკაცრების მიმართულებით ნებისმიერი ცვლილება კარგად დასაბუთებული და არგუმენტირებული უნდა იყოს. არ შეიძლება ისეთი მეთოდების გამოყენება პატიმრების წინააღმდეგ, რომელიც უთანაბრდება ან იგივდება წამებასთან. პატიმრობა უკვე მთელი რიგი უფლებების შეზღუდვაა. ასევე აუცილებელია, ყველა გამოყენებული იძულების ღონისძიება იყოს საფრთხის ადეკვატური, რომლის გადამოწმების შესაძლებლობა ნაკლებად არსებობს. ამდენად, არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლის გამო ასეთი ცვლილებების განხორციელება საზოგადოებასთან და განსაკუთრებით ექსპერტებთან წინასწარი კონსულტაციებისა და დასაბუთების გარეშე ცოტა ნაჩქარევად მიგვაჩნია. ასევე ვერ გავიზიარებთ იმ არგუმენტაციას, რომ ეს არალეგალური მეთოდები აპრობირებულია უცხოეთში.

– როგორია თქვენი პოზიცია „ჩიპიან პირადობებთან“ დაკავშირებით, რაც საზოგადოების აქტიური მსჯელობის საგანია?

– აუცილებელია, ხელისუფლებამ მოუსმინოს საზოგადოებას, რომელიც კატეგორიულად ითხოვს ალტერნატიული პირადობის მოწმობების გაცემას. ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს თუნდაც ერთი მოქალაქის საფუძვლიანი პრეტენზიის მოსმენა, არათუ საზოგადოების დიდი უმრავლესობისა. უბრალოდ, გაუგებარია, რას ემსახურება ხელისუფლების ეს სიჯიუტე და საზოგადოების ლეგიტიმური მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა. ასევე უსაფუძვლოა ამ პირადობების დამზადება უცხოეთის პრაქტიკის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ თითზე ჩამოსათვლელია იმ ქვეყნების სია, სადაც დაშვებულია „ჩიპიანი პირადობები“. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება, შეუზღუდოს მოქალაქის ფუნდამენტური თავისუფლება, თავად აირჩიოს პირადობის მოწმობის ფორმა. ამიტომ მოქალაქეს უნდა მიეცეს ამ არჩევანის თავისუფლება და არ მოხდეს სახელმწიფო გადაწყვეტილების იძულება, რასაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით აქვს ადგილი.

# გია ხუხაშვილი: ნაცმოძრაობა მკაცრი კანონების მქონე კრიმინალური ორგანიზაცია იყო“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***დროს გკითხავთ, რატომ ინიშნებიან ფინანსური პოლიციის თანამშრომლები?***

– ბადაშვილს არ ვიცნობ, გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი უწყებიდან დაინიშნება პროკურორად ესა თუ ის პირი, ადამიანი ცნობილი რომ არ არის, ამას აქვს თავისი პლუსებიც და მინუსებიც. პლუსი ის არის, რომ პოლიტიზებას შორდება ამ შემთხვევაში მთავარი ბრალმდებელი ქვეყანაში და ეს სტრუქტურა როგორც ბრალდების მხარე, თუმცა მინუსებიც არის, როცა ადამიანს არა აქვს საკუთარი წონა, ის შეიძლება გახდეს ადვილად მართვადი სხვების ხელში. მოვლენებს არ მინდა გავუსწრო და ჯერ მისი ქმედება არ გვინახავს, რაც შეეხება იმას, რომ ის ფინანსური პოლიციიდან არის, ეს საერთო კამპანიის ნაწილია. პროკურატურის დისკრედიტაციის კამპანიის ნაწილია, დიდი პრეტენზიები იყო საზოგადოების მხრიდან პროკურორების მიმართ, ამ უწყებაში მომუშავე ადამიანების დისკრედიტაცია მოხდა, ნაწილობრივ – სამართლიანად და ნაწილობრივ – უსამართლოდ.

***– წელიწადზე მეტია, რაც ქართული ოცნება ხელისუფლებაშია, რა მიმართულებებში ხედავთ ხარვეზებს და რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი ხელისუფლებამ, რომ ეს ხარვეზები გამოსწორდეს?***

– პოზიტივია ის, რომ ფსიქოლოგიური ფონი გაუმჯობესებულია, შიში და დაბნეულობა საზოგადოებაში აღარ შეიმჩნევა, თუმცა ხელისუფლებას აკლია ენერგია, აკლია მთავარი იდეა და დინამიკა მოქმედებებში, რაც საზოგადოებაში მის მიმართ იმედგაცრუებას იწვევს. დემოკრატიულ პროცესში გაუმჯობესება არის, მაგრამ მაქსიმალისტური მიდგომა არ ჩანს. ბარიერი 30% იყო და ახლა გახდა 40%, საერთაშორისო სტანდარტებით 50%-ია ბარიერი, ხელისუფლებას არანაირი პრობლემა არ ჰქონდა, რომ ამ სტანდარტებზე აეწია პირდაპირ ბარიერი, ამით არაფერი დაშავდებოდა, უკვე ჩანს, რომ ქართულ ოცნებაშიც ჩამოყალიბდა პოლიტიკური პრიორიტეტი ხელისუფლების შენარჩუნებისა, დემოკრატიულ ინსტიტუტებთან მიმართებაში, რაც მთლად სასიამოვნო არ არის. რთული პროცესი მიდის და გაგებით უნდა მოვეკიდოთ ამ პროცესებს. ეკონომიკაში სერიოზული დინამიკა არ ჩანს, არის საფუძველი ჩაყრილი უკეთესობისკენ, მაგრამ სერიოზული დინამიკა არ იკვეთება. მიმაჩნია, რომ ეს მიმდინარე პრობლემებია და ყველაფერი გადაილახება.

***– იმედგაცრუება ახსენეთ, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებში და აქტიურ მხარდამჭერებში არის ეს იმედგაცრუება, სამწუხარო ინფორმაცია გავიგეთ, რეგიონებიდან, პოლიცია ე.წ. „გაიშნიკებივით“ ფულს აწერს მძღოლებს. ასევე მინდა გკითხოთ ტექდათვალიერების შესახებ არის ეჭვი, ხომ არ იქნება ეს კორუფციის წყარო?***

– წარმოუდგენლად მიმაჩნია პოლიციის მსგავსი ქმედებები, დაჯერებაც მიჭირს, ერთი პრეცედენტიც რომ შეიქმნას, ეს ზვავივით წამოვა, არ მინდა დავიჯერო, ტექდათვალიერებასთან დაკავშირებით რისკები არის, მაგრამ არის საერთაშორისო სტანდარტი, უსაფრთხოების სტანდარტები, ეკოლოგიური მოთხოვნები, მწვავე თემაა, მაგრამ ამის დაწყება მოგვიწევს. თუ ქვეყანა ეკონომიკურად, სოციალურად და სხვა მხრივ არ იქნება განვითარებული 2015 წლისთვის, შეგვიძლია კიდევ ერთხელ გადავავადოთ ამ ნორმის მიღება. ეს გასაკეთებელია, თუ ქვეყანა სოციალურად ამას „გაქაჩავს“, ამ პერიოდისთვის შეიძლება ამ ნორმის შემოტანა, აქ მე სოციალურ რისკებს ვხედავ, ვიდრე კორუფციულს.

***– ლარის კურსის ვარდნა ხომ არ არის საბოტაჟის გამოვლინება?***

– არა მგონია, ლიბერალური მიდგომებია დღეის მდგომარეობით, კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ, თუმცა არის სოციალური რისკები, როცა მიდის ადგილობრივი ვალუტის შემსუბუქება, ამას მოჰყვება ინფლაცია, სოციალური ფონის გაუარესება, როცა შემოსავლების მიღება არ ხდება ქვეყანაში, ეს უარყოფითი მომენტია, მაგრამ არა დრამატული. ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზებიც, საერთაშორისო ბაზრებზე დოლარის გამყარების პროცესს ვაკვირდებით, ეს აისახება ჩვენს შიდა ბაზარზეც, ადრე არსებული კურსი უფრო ხელოვნური იყო, დღევანდელი დაახლოებულია ლარის რეალურ ღირებულებასთან, შეიძლება ეს უკეთესიც იყოს, მთავარია, ეს პროცესი სოციალურად იყოს მოწესრიგებული. პრობლემა დევალვაციაში ან ინფლაციაში კი არ არის, არამედ ადამიანების შემოსავლებში. როცა ფული მსუბუქდება და შემოსავლები არ იზრდება, ეს არის პრობლემა, ამას რომ მოჰყვებოდეს ეკონომიკური ზრდა, პირიქით, ეს შეიძლებოდა კარგი ყოფილიყო ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის. როცა კურსი იცვლება და შემოსავლები გაჩერებულია, ეს უარყოფითი მოვლენაა.

***– რა უშლის ხელს იმას, რომ საწვავზე ფასი შემცირდეს?***

– ეს მუდმივი თემაა, ზოგჯერ ითვლიან, საწვავი საერთაშორისო ბაზრებზე იაფია და აქ რატომ არის ძვირი. იმიტომ, რომ გადასახადებია მაღალი, როგორც დღგ, ასევე აქციზი. ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, თუ მნიშვნელოვანია დაბალი ფასების დაჭერა, მაშინ უნდა შემცირდეს აქციზის გადასახადი, რომელიც 250 ლარია ათას ლიტრ ბენზინზე. მგონია, რომ ეს ბაზარი კონკურენტუნარიანია, აზერბაიჯანიდან თითქმის აღარ შემოდის საწვავი, აზერბაიჯანს აქვს თავისი მოხმარება და ამდენი პროდუქტი საექსპორტოდ აღარ აქვს. კარტელები და მონოპოლიები, როგორიც მე ვიცი, არ არის, ადრე ნაცმოძრაობის ყულაბაში მიდიოდა ეს ფული. ახლა ეს აღარ ხდება, კარტელები არ არის.

***– თანაინვესტირების ფონდი შექმნილია, ის უკვე ფუნქციონირებს?***

– დიახ, ეს არის ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ელემენტი ეკონომიკისთვის, ბევრი პროექტი უკვე დამტკიცებულია, დაიწყება მათი ამოქმედება, ფსიქოლოგიური გაგებით ეს მნიშვნელოვანი მომენტია, ქვეყანას აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა, ინვესტიციები იქნება მყარად დაცული. მოლოდინი ამ ფონდის მიმართ მაღალია, გაზაფხულზე პირველი შედეგები უკვე გამოჩნდება.

***– ბატონ ივანიშვილს ჰქონდა გეგმები მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებაზე და აქვე მინდა გკითხოთ მის მიერ დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციაზე „მოქალაქე“?***

– სრულფასოვან ეკონომიკაზე საუბარი მცირე და საშუალო ბიზნესის გარეშე ზედმეტია, საშუალო ფენა არის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი. ჯერ ვერ ვხედავ კონკრეტულ ნაბიჯებს ამ ბიზნესის განვითარებისკენ გადადგმულს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სერიოზული ქმედებები ამ მიმართულებითაც იქნება.



„მოქალაქეს“ რაც შეხება, ივანიშვილის წარმატება გადაჯაჭვულია საქართველოს უახლოეს ისტორიაში ქვეყნის წარმატებასთან, მისი გადადგმული ნაბიჯების მიმართ განწყობა უნდა იყოს ისეთი, რომ უნდა ვუსურვოთ წარმატება იმიტომ, რომ მისი წარმატება ქვეყნის წარმატებაც არის, ის აუცილებლად გასცემს პასუხს ყველა კითხვას, რაც ეხება მის გადასვლას საზოგადოებრივ სექტორში, ვუსურვებ წარმატებას.

# საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, შმაგი თელია და დავით ნაირაშვილი თანამდებობებს დროებით ჩამოშორდნენ

შმაგი თელია და დავით ნაირაშვილი, რომლებიც გუშინწინ ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანან, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, საქმიანობას დროებით ჩამოშორდნენ. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ ქაროსანიძემ დღეს განაცხადა, თელია და ნაირაშვილი შეიარაღებულ ძალებში დღესაც მსახურობენ.

„დაველოდებით გამოძიების შედეგებს და თუ მათი ბრალეულობა გამოიკვეთება, შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. გამორიცხული არ არის, რომ თუ გამოძიებას დასჭირდება, ისინი დროებით ჩამოშორდნენ თანამდებობას“– აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

დავით ნაირაშვილი დიდ ბრიტანეთში სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე მუშაობს, შმაგი თელია უწყებაში მსახურობს. თელია მუხროვანის მოვლენების დროს სახმელეთო ჯარების სარდალი იყო. გუშინწინ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი დავალებებს აძლევს და ორ გვამს ახსენებს. „მინდა მე ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, ვსიო, პრემია დიდია“ – მიმართავს ვიდეოში მერაბიშვილი მათ.

ნიუსპრესი

## შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში, დელისის ქუჩაზე მდებარე სასტუმროს ადმინისტრატორი, 1948 წელს დაბადებული ნატალია რ. პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისთვის სასტუმროში ფართს უთმობდა.

სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს – სსსკ-ის 254-ე მუხლით.

**ნიუსპრესი**

## შინაგან საქმეთა მინისტრი ოპერატიულ-სამორიგეო საქმიანობის სიახლეებს გაეცნო

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ოპერატიულ-სამორიგეო საქმიანობის სიახლეების პრეზენტაციას დაესწრო. ღონისძიებას ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შსს-ს ადმინისტრაცია ოპერატიულ-სამორიგეო საქმიანობის ახალ სტანდარტებზე გადავიდა. სამინისტროს პრესსამსახურის განმარტებით, რეფორმა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ 2013 წელს იყო ინიცირებული. რეფორმის შედეგად, გაიზარდა დანაშაულის შეტყობინების ოპერატიულობის ხარისხი, დაინერგა დანაშაულის აღრიცხვიანობის სიზუსტისა და უტყუარობის კონტროლის უახლესი ტექნოლოგიები, შეიქმნა დანაშაულის კრებსის ახალი ელექტრონული სისტემა და დანაშაულის ელექტრონული რუქა, რომელიც კრიმინოგენული ვითარების როგორც ოპერატიული, ისე სტრატეგიული ანალიზის საშუალებას იძლევა.

შსს-ს ინფორმაციით, ასევე, გადაიხედა 1993 წელს მიღებული მოქმედი სამორიგეო საქმიანობის ინსტრუქცია და მის ნაცვლად ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდა, რომელიც მორიგე პოლიციელის საქმიანობის ორგანიზაციას თანამედროვე დასავლურ პრინციპებზე აფუძნებს.

უწყების განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები კრიმინალთან ბრძოლისა და დანაშაულის პრევენციის ხარისხის ამაღლებას ემსახურება და ამერიკელი პარტნიორების მხრიდან მაღალ შეფასებას იმსახურებს.

**ნიუსპრესი**

## შსს-ს აკადემიას სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ

შს სამინისტროს აკადემიას ხაშურის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და პედაგოგები პროექტის – „ერთად მოზარდთა უსაფრთხო მომავლისათვის“ ფარგლებში ეწვივნენ. სტუმრები აკადემიაში პოლიციელთა მომზადების მეთოდიკას გაეცნენ და პრეზენტაციას – „სწავლება აკადემიაში“ დაესწრნენ.

მოსწავლეებმა და პედაგოგებმა აკადემიის ინფრასტრუქტურა, სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რეალური და იმიტირებული ტირები მოინახულეს.

შსს-ს აკადემიასა და შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში მოსწავლეებისათვის პერიოდულად ეწყობა საგანმანათლებლო ექსკურსიები. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული სახის ვიზიტები მოზარდებში სამართლებრივი კულტურის ამაღლებას და ამ გზით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას ემსახურება.

**ნიუსპრესი**



## ირაკლი სესიაშვილი: გავრცელებული ვიდეოჩანაწერი სისტემური დანაშაულის პირდაპირი ფაქტია“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ინტერნეტსივრცეში გუშინწინ საღამოს გავრცელებული ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს დავალებებს აძლევს და ორ გვამს ახსენებს, სისტემური დანაშაულის პირდაპირი ფაქტია.

„ხედავთ, რომ პოლიტიკოსი, მეორე პირი ქვეყანაში პირდაპირ აძლევს დავალებას და კონკრეტული ადამიანების ლიკვიდაციას ითხოვს, მაშინ, როდესაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინოს და წარადგინოს მართლმსაჯულების წინაშე, მაგრამ აბსოლუტურად საპირისპირო სურათი გვაქვს. ეს თემა პოლიტიკურად მოთელილი იყო ლიდერებს შორის“– განაცხადა სესიაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## ირაკლი ალასანია გერმანიაში ვიზიტით იმყოფება

მიუნხენის 50-ე უსაფრთხოების კონფერენცია დღეს ოფიციალურად გაიხსნება. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში წამყვან საერთაშორისო და დამოუკიდებელ ფორუმზე დასასწრებად გერმანიაში, პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დღეს, თავდაცვის მინისტრი მიუნხენთან ახლოს მდებარე ქალაქ კრეუტში ახალგაზრდა ლიდერთა მე-4 ფორუმშიც მონაწილეობს, რომელიც მიუნხენის უსაფრთხეობის კონფერენციის ფარგლებში ტარდება.

ირაკლი ალასანია პანელში – „რუსეთისა და დასავლეთის ინტერესები და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები“ ახალგაზრდა ლიდერთა წარმომადგენლებს მიმართავს სიტყვით. გამოსვლისას მინისტრი ყურადღებას გაამახვილებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მნიშვნელობაზე და ამ გზაზე არსებული გამოწვევებსა და სირთულეებზე, ასევე რეგიონალურ უსაფრთხოებასა და დემოკრატიული რეფორმების კუთხით მიღწეულ პროგრესზე.

მიუნხენის 50-ე უსაფრთხეობის კონფერენციის ფარგლებში, დაგეგმილია თავდაცვის მინისტრის შეხვედრა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილესთან ალექსანდრე ვერშბოუსთან.

კონფერენციის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვედრებს გამართავენ გაეროს და ეუთოს გენერალურ მდივნებთან, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მდივნებთან, ამერიკელ სენატორებთან, აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს პრეზიდენტთან,. ასევე, დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები სერბეთისა და სლოვენიის პრემიერ მინისტრებთან, სლოვაკეთის, პოლონეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

**მედიანიუსი**

# ცხინვალს კორუფციასთან ბრძოლას ურჩევენ

*მარიკა მჭედლიშვილი*



იმ დროს, როცა ჩვენი ხელისუფლება ცხინვალთან და სოხუმთან ურთიერთობების დათბობას ცდილობს, ამ რეგიონებში (ისინი თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად თვლიან) ცხოვრება თავისი გზით მიდის.

ცხინვალში ჯერ კიდევ უხარიათ თავიანთი „დამოუკიდებლობა“, თანაც, ხან რუსეთს უერთდებიან, ხან კიდევ იმედოვნებენ, რომ „სამხრეთი ოსეთის სახელმწიფოს“ ევროკავშირის ქვეყნები ცნობენ.

– ევროკავშირის ქვეყნებში არიან ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ სამხრეთი ოსეთის აღიარებას – ასეთი განცხადება, „რეგნუმის“ ცნობით, იქაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით სანაკოევმა გააკეთა.

დავით სანაკოევი თავისი უწყების ფუნქციას მარტო იმ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარება-გაღრმავებაში კი არ ხედავს, რომლებმაც სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა ცნეს, არამედ, იმ სახელმწიფოებთანაც, რომლებსაც ეს ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

– ევროკავშირის ქვეყნებში ყოველთვის არ შეინიშნება დეკლარირებული მოსაზრებების ერთიანობა. ეს ეხება სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებს. ხსენებულ ქვეყნებში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც იგებენ და მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, – ირწმუნება სანაკოევი.

რუსი ექსპერტი, დოცენტი ალექსანდრ სერგეევი „სამხრეთი ოსეთის სახელმწიფოს“ მომავალს ასეთი ვარდისფერი სათვალით არ უყურებს. მან „სამხრეთელ ოსებს“ მიანიშნა, მართალია, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება გინდათ, მაგრამ ეს შორეული სტრატეგიული პერსპექტივააო.

დოცენტმა სერგეევმა „სამხრეთ ოსეთს“ შორსმიმავალი გეგმები ყველა მიმართულებით ჩამოუყალიბა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი თეზისი: „ლენინგორის რაიონის იმპლანტაცია სამხრეთი ოსეთის სხეულში“. ლენინგორად ის მრავალტანჯულ ახალგორს მოიხსენიებს. მისი თქმით, იმპლანტაციის დასაგვირგვინებლად „უნდა მოხდეს ქართველი მოსახლეობის სოციალიზაცია სამხრეთი ოსეთის სივრცეში“, ასევე გამკაცრდეს კონტროლი საზღვარზე.

ალექსანდრ სერგეევი ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს „განვითარების იდეურ-აზრობრივი საფუძვლების ახლიდან დაუფლებასაც“ ურჩევს. ამისთვის მას მოფიქრებული აქვს მრგვალი მაგიდების, კონფერენციების, საიტების მოწყობა „სამხრეთი ოსეთის“ ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ოსებთან ერთად.

რუსი ექსპერტი ცხინვალის რეგიონს კორუფციასთან ბრძოლის გააქტიურებას, ასევე სოციალური პირობების გადაჭრას, მიწათმოქმედების, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარებასაც ასწავლის.

სერგეევი არც საზღვრის მტკივნეულ თემას ივიწყებს.

– სამხრეთოსური საზღვრები უნდა გახდეს საიმედო და რეალურად დაცული. დღის წესრიგის განსაკუთრებულ საკითხად დგას ქართულ-სამხრეთოსური საზღვრის რეალური დემარკაციის პრობლემა. ის უნდა განხორციელდეს ისტორიული სამართლიანობისა და სამხრეთოსური მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, – ასკვნის დოცენტი.

სერგეევი მიიჩნევს, რომ „სამხრეთი ოსეთის“ აღიარების კუთხითაც უამრავი რამეა გასაკეთებელი.

– რუსეთმა ყველა ღონე უნდა იხმაროს სამხრეთოსური რესპუბლიკის აღიარებისა და მისთვის ერთიანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსის მინიჭებისათვის. ამ პირობის სრულფასოვანი რეალიზაცია არა მარტო საფრთხისგან დაიცავს სამხრეთი ოსეთის მოსახლეობას, არამედ, არსებითად გააძლიერებს რუსეთის სტატუსს როგორც შიდასოციალურ, ისე საგარეო-პოლიტიკურ განზომილებაში, – ამბობს რუსი დოცენტი.

ცხინვალი რუსეთის დახმარებით ეკონომიკის განვითარებაზეც ზრუნავს – რუსეთის ფედერაციის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი ვლადიმირ ავდეენკო „სამხრეთი ოსეთის“ მეწარმეებს შეხვდა.

– რუსი კოლეგების ძირითადი მიზანია რესპუბლიკის საკუთარი რესურსების ამოქმედება, რათა ჩვენ შევძლოთ საკუთარი თავის უზრუნველყოფა ზოგიერთი პროდუქციისა და მომსახურების თვალსაზრისით, ასევე, საკუთარი ბიუჯეტის შევსება საკუთარი სახსრებით, – ამბობს მეწარმეთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ფარნის“ ხელმძღვანელი ალბერტ ვალიევი.

ვალიევი იმედოვნებს, რომ „სამხრეთ ოსეთში“ სოფლის მეურნეობა და მომსახურების სფერო განვითარდება, ინვესტიციების მოსაზიდად კი ჩრდილოეთ ოსეთის საბანკო კრედიტების გამოყენებაც იგეგმება.

# ტარყაშვილის საქმეში ეჭვმიტანილის მამა სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეების პირადად დასჯას აპირებს

2011 წლის 17 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, ზურაბ ტარყაშვილის მკვლელობაში ბრალდებული ირაკლი აგლაძის მამა ზაზა აგლაძე, „კავკასიის ინტერნეტ მედიაჯგუფის“ ხელმძღვანელს გიორგი კაპანაძესა და შს-ს პრესსამსახურის ყოფილ უფროსს გურამ დონაძეს ცილისწამებაში ადანაშაულებს.

როგორც ზაზა აგლაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუ პროკურატურა ტარყაშვილის საქმეს დროულად არ გამოიძიებს, ის ცილისმწამებლებს – გიორგი კაპანაძესა და გურამ დონაძეს თავად დასჯის. მისივე თქმით, გარდაცვლილი ტარყაშვილის ოჯახი, ყოფილ ხელისუფლებას – „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს, რომლებიც მკვლელობაში ბრალდებულების მიმართ მიზანმიმართულ წილისწამებას ახორციელებენ.

„უკვე ერთი თვეა სისტემატიურად, ტარყაშვილის ოჯახი ნაციონალებისა და მათ მფლობელობაში არსებული მედია ჰოლდინგის საშუალებით, ჭორებზე დაყრდნობით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ, მიზანმიმართულ ცილისწამებას ახორციელებენ მინდია გოგოჭურის მიმართ, რომელსაც ამ მკვლელობაში მონაწილეობას აბრალებენ.

17 ოქტომბრის მკვლელობა ამ დღეს არ დაწყებულა. ეს 2010 წლის 15 მარტს დაიწყო, როდესაც ზურაბ ტარყაშვილმა, შელაპარაკების გამო სანდრო გოგბერაშვილი „არკაში“ დაიბარა, სადაც ტარყაშვილი სამ პიროვნებასთან ერთად დახვდა, რა დროსაც სანდრო გოგბერაშვილი მოკლეს.

ტარყაშვილს პირველ ინსტანციაში ცხრა წელი მიუსაჯეს, ხოლო ორი თვის შემდეგ, როდესაც გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, მისმა დის ქმარმა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ნაციონალების ჰოლდინგის – „კავკასიის ინტერნეტ მედიაჯგუფის ხელმძღვანელია“, სადაც შედის, „პრესა.ჯი“; „დრონი.ჯი“ და ა.შ., გურამ დონაძესთან ერთად დაიწყო გაყალბება და ეს მკვლელობა თორნიკე კაჭარავას გადააბრალეს, რომელიც შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა. კაჭარავას 24 წელი მიუსაჯეს. ანუ ტარყაშვილის ოჯახმა ყველაფერი ისე გააყალბა, რომ მკვლელობა ამ ბიჭს დაბრალდა და ტარყაშვილი ზუსტად წელიწადსა და რამდენიმე თვეში გამოუშვეს.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ დავლოდებოდით ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას,მაგრამ ბოლო დროს ეს ცილისმწამებლური განცხადებები გვაიძულებს პასუხი გავცეთ მას, რადგან, ყოველდღე, მათ დაქვემდებარებაში მყოფი გამოცემებით, საზოგადოებრივი აზრი შექმნას ცდილობენ.

ტარყაშვილი იყო „ნაციონალების“ ზონდერი და დედამისის მიერ ბოლო დროს გაკეთებულმა განცხადებებმა დამარწმუნა იმაში, რომ ეს ქალბატონი თვითონაც ცრუობს. მასალები ადასტურებენ რომ ადგილზე ორმხრივი სროლა მიმდინარეობდა და იგივე მასალები ამტკიცებს, რომ ტარყაშვილი და სანდრო გოგბერაშვილის მამა ისროდა. თუმცა ამ მასალებიდან არაფერი არ გაითვალისწინეს. ამასთანავე, არცერთი თვითმხილველი დაკითხული არ არის.

კაჭარავას მიუსაჯეს 24 წელი მისივე მეგობრის მკვლელობისთვის, მერე რუსიშვილს 21 წელი, ჩემს შვილს კი 31 წელი მიუსაჯეს და ახლა უნდათ რომ კიდევ გოგოჭურს და ჯოხაძეს უნდა მიუსაჯონ და ეს არ მთავრდება, კიდევ ამბობენ ეს საქმე არ უნდა დაიხუროსო, ანუ ამით ამბობენ, ვინც კი გოგბერაშვილის სამეგობრო იყო, ყველა უნდა დაიჭირონო.

ახლა შეიტყვეს, რომ კაჭარავა შეიძლება გამართლდეს და პრევენციულ ზომებს მიმართავენ. როდესაც ეს ფაქტი მოხდა, 17 ოქტომბრამდე, მიშა სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ამბობენ, რომ თბილისი მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ქალაქიაო და მეორე დღეს დღისით, ასეთი რამ შუა რუსთაველზე ხდება.

გოგბერაშვილის მამა კი ამ დროს ჰყვება, რომ მე ვესროლე, მე მოვკალი ჩემი შვილის მკვლელიო. ასევე ჰყვება, რომ მაშინ როდესაც მან ტარყაშვილს ესროლა, პოლიციელებიც მანდ ყოფილან, ანუ უნებლიედ პოლიციელებიც გახდნენ მკვლელობის შემსწრეები და ახლა რეალურად იქმნება ასეთი სურათი, რომ პოლიცია თვითონ ხედავს მკვლელობას და გირგვლიანის თემა რომ არ განმეორებულიყო, პოლიციელები უნდა გადაემალათ ამ საქმიდან და საკომპენსაციოდ გოგბერაშვილის მეგობრები მოიძიეს. მათ შორის იყო ჩემი შვილიც, რომელიც მართლაც არის ნასამართლევი იარაღის ტარებაზე და არა ყაჩაღობაზე და მათთვის ის მშვენიერი კანდიდატურა აღმოჩნდა.

თავიდან მეგონა, რომ ტარყაშვილის ოჯახი არ იყო შუაში, მაგრამ დავრწმუნდი რომ უკვე ისინიც ცრუობენ. ვამართლებდი იმით, რომ შვილი მოუკლეს, მაგრამ მე არ მომიკლეს შვილი?! 31 წელი მიუსაჯეს და მე კიდევ ვიცხოვრებ ამდენ კი ხანს?! მე შვილი კაპანაძემ და დონაძემ მომიკლა.

პირობას ვდებ, თუ ეს საქმე არ იქნება გამოძიებული და სასამართლო ყველას არ დასჯის, მე თვითონ, დონაძეს, კაპანაძეს და დამკვეთებს, პირადად გავუსწორებს ანგარიშს. პირობას ვდებ, რომ ყველას პირადად დავსჯი“-აცხადებს ირაკლი აგლაძის მამა.

ირაკლი აგლაძის ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი კი აცხადებს, რომ საქმის განხილვა დარღვევებით მიმდინარეობდა და აღნიშნავს, რომ 70 მოწმიდან, მხოლოდ 9 მოწმეა აღნიშნულ საქმეზე დაკითხული.

ადვოკატი, ტარყაშვილის დედის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის ფაქტზე გამოძიების დაწყებას მოითხოვს.

„ჩვენ ვერ მივაღწიეთ პროცესზე იმას, რომ დაკითხულიყვნენ უშუალოდ ივერი გოგბერაშვილი და დავით რუსიშვილი. ბრალდების ვერსიის თანახმად, მკვლელობა ჩადენილი იქნა სამი ადამიანის მიერ და ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ უშუალოდ ბრალდებულები დაკითხონ. მაგრამ ამ არასამართლიანობის პირობებშიც იმდენად ცხადი იყო ირაკლი აგლაძის უდანაშაულობა, რომ სასამართლო ვალდებული იყო გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა. სამწუხაროდ გარდაცვლილის დედა თავის პრესკონფერენციებში ფაქტების აშკარად გაყალბებას ახდენს.

ჩვენ, როგორც ადვოკატები, იძულებული ვხდებით, რომ დღის წესრიგში, ამ ქალბატონის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის გამო, გამოძიების დაწყება დავაყენოთ“-განაცხადა ირაკლი აგლაძის ადვოკატმა.

მინდია გოგოჭური აცხადებს, რომ რუსთაველზე მომხდარ მკვლელობაში მას მონაწილეობა არ მიუღია და აღნიშნულთან დაკავშირებით, ის გარდაცვლილის ოჯახს მიმართავს, რომ მის მიმართ ცილისწამებები შეწყვიტონ.

„ტარყაშვილის დედის მიერ ჩემს მიმართ წარმოთქმული ბრალდებები სრული აბსურდია. მე არც არავის მკვლელობაში და არც არავის დაჭრაში მონაწილეობა არ მიმიღია და მოვითხოვ, რომ ჩემს მიმართ დაწყებული ცილისწამების კამპანია შეწყდეს“– განაცხადა მინდია გოგოჭურმა.

მინდია გოგოჭური, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შვილობილის ქმარია. ადვოკატები და თავად გოგოჭური აცხადებს, რომ მისი პერსონა, გარდაცვლილის ოჯახმა და ნაციონალების კონტროლირებადმა მედიასაშუალებებმა, მას შემდეგ გაააქტიურეს, რაც მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირებენ ისინი გოგოჭურის მიმართ განხორციელებულ ცილისწამებებს.

ადვოკატი ირმა ჭკადუა ეჭვობს, რომ გოგოჭურის პერსონა სპეციალურად გაააქტიურეს, რადგან, ტარყაშვილის საქმეში ბრალდებული უდანაშაულო ადამიანების გამართლება გარდაუვალია, მათი გამართლების შემდეგ კი, ნაციონალური მოძრაობა განაცხადებს, რომ ეს ყველაფერი მარგველაშვილის მფარველობით მოხდა.

**ნიუსპრესი**

# დათო ტურაშვილის ჯინსების თაობა“ სომხურად ითარგმნება

ეკა ირემაშვილი




ქართველი მწერლის დათო ტურაშვილის გახმაურებული რომანი „ჯინსების თაობა“ სომხურ ენაზე ითარგმნება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი თანამედროვე ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმნა და გამოცემაა. 2014 წელს გურამ ოდიშარიას უწყების მხარდაჭერით, დათო ტურაშვილის რომანს „ჯინსების თაობა“, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც წაიკითხავენ, კერძოდ რომანი სომხურ ენაზე ითარგმნება და გამოიცემა. პროექტი მიზნად ისახავს თანამედროვე ქართველი მწერლების საზღვარგარეთ პოპულარიზაციას.

– დავით ტურაშვილი, თანამედროვე ქართველი მწერალია. მისი პირველი რომანი 1988 წელს დაიბეჭდა. მწერლის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია „ჯინსების თაობა“, რომლის სცენური ვერსიის პრემიერა 2001 წლის მაისში გაიმართა თეატრალურ სარდაფში. მის სხვა ნაწარმოებთა შორისაა სამგზავრო წერილების კრებული „კატმანდუ“ და „ცნობილი და უცნობი ამერიკა“, ასევე მოთხრობათა ორი კრებული და კინოსცენარები. მისი მოთხრობათა პირველი კრებული „მერანი“ გამოიცა 1991 წელს. თარგმნილი აქვს როგორც პროზაული, ასევე პოეტური ტექსტები რუსული, ესპანური და ინგლისური ენებიდან, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

დავით ტურაშვილის „ჯინსების თაობის“ სომხურ ენაზე თარგმნის პროექტის ავტორი ერთ-ერთი სომხური გამომცემლობაა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის წელს ასევე გადაწყვეტილი აქვს ზაზა ბურჭულაძის რომანის „ადიბასის“ იტალიურ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

– ზაზა ბურჭულაძე ქართველი მწერალი, სცენარისტი და მთარგმნელია. ის წერს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 2001 წლამდე იბეჭდებოდა გრეგორ ზამზას ფსევდონიმით. ქართულ ენაზე თარგმნილი აქვს დოსტოევსკის, ხარმსის, სოროკინის პროზა. სამი წლის წინ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა რომანისთვის „გასაზერი ანგელოზი“ მწერალს პრემია „წლის საუკეთესო რომანი“ მიანიჭა. მისი რომანი „ადიბასი“ სიყალბის ისტორიაა, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოქვეყნდა. ეს რომანი გამოიცა პოლონურ და რუსულ ენებზე, – განმარტავენ სამინისტროში.

თარგმანების პარალელურად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახალი წიგნების გამოცემასაც აპირებს. წელს იგეგმება ახალგაზრდა ქართველი მეიგავის და თეატრმცოდნის ნიკოლოზ წულუკიძის იგავ-არაკების წიგნის „უბით სატარებელი“ გამოცემა. ახალგაზრდა მეიგავეს ნიკოლოზ წულუკიძეს იგავ-არაკებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესის დროს თეატრალური უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტუდენტები, პედაგოგები და აბიტურიენტები.

–?საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქართული წიგნისა და ლიტერატურის მხარდაჭერა. ამ პროექტის მიზანია თანამედროვე მწერლობის ხელშეწყობა, წახალისება და პოპულარიზაცია. პროექტის ავტორია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი, – აღნიშნავენ პროექტის ორგანიზატორები.

გურამ ოდიშარიას უწყების ერთ-ერთი მთავარი პრიო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რობერტ სტურუა სპექტაკლს არგენტინაში დგამს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აქ, არაჩვეულებრივი, ლამაზ სავაჭრო ცენტრში ჩემმა ებრაელმა მსახიობებმა, ვახშმობისას შესანიშნავი ამბავი მომიყვეს, (მარწმუნებდნენ, რომ მართალიაო!):

ასი წლის მოხუცი ქალი, რომელმაც მთელი ცხოვრება აქ გაატარა, „ბაზრის დედოფალი“ რომ შეარქვა ვიღაცამ, ყველასგან მივიწყებული სიკვდილისთვის ემზადებოდა. დამწვითო, თორემ დაგწყევლითო, – მიმართავდა ბებერ მეგობრებს! ფერფლს რა ვუყოთო – დავასაფლავოთ თუ ქარს გავატანოთო? არა აი, იმ დიდ სავაჭრო ცენტრში გაფანტეთო. კი, მაგრამ რატომ სავაჭრო ცენტრშიო. „აბა, შვილიშვილებს და. შვილთაშვილებს ჩემ საფლავზე რა მოიყვანთ (არც კი ვიცი სად არიან!) აქ კი ყოველდღე დადიან და გავახსენდებიო!“, – წერს რეჟისორი.

ხელოვანი ერევანში გასტროლსაც იხსენებს:

– ერევანში ვიყავით გასტროლებზე. როგორც ყოველთვის, დიდი პატივით და სიყვარულით მიგვიღეს. ქუჩაში შესანიშნავი პოეტის ეგიშე ჩარენცის, 1937 დახვრიტეს, დიდი კრებული ვიყიდე. (რუსული თარგმანი). ამ დროს შემხვდა გია ყანჩელი – კომპოზიტორ სარიანთან ერთად მოდიოდა. მამამისთან, მარტიროს სარიანთან მივდივართო. გავუარეთ დუდანას და დიდ მხატვარს სახლში ვეწვიეთ. მთავრობამ მის სახელოსნოს გვერდით მუზეუმი აუშენა (ჰუგენგეიმის პატარა კოპიო), სადაც მისი ნამუშევრები იყო გამოფენილი. არაჩვეულებრივი კაცი აღმოჩნდა, საყვარელი და სათნო მოხუცი. სიბერემ ეტყობა მის აზროვნებას გარკვეული დაღი დაადო. ოდნავ... ვიგრძენი დუდანა მოეწონა, თვალები აუჟუჟუნდა... ვილაპარაკეთ სხვადასხვა თემებზე... მერე ჩარენცის წიგნი გავუწოდე და ავტოგრაფი ვთხოვე... რაღაცას წერდა, მერე ჩემ ცოლს დიდხანს შესცქეროდა (ცოტა არ იყოს ეჭვიანობამ შემიპყრო) და ბოლოს დაამთავრა... სასტუმროში რომ დავბრუნდი, წარწერა გადავიკითხე მომყავს ქართულად, თანაც ჩემი დასკლეროზებული მეხსიერებით. მთავარს გადმოგცემთ: ქართველებისგან ბევრი რამ ვისესხეთო... მერე ბევრი ტკბილი სიტყვები ქართულ თეატრზე და ასე შემდეგ. უეცრად აზრი წყდება და მოულოდნელად: „ უ ეტოი გრუზინკი ნეაბიკნავენიე გლაზა“ და ავტოგრაფი:l მ.სარაიან.

რეჟისორს არც ბუენოს აირესის ერთ-ერთ რესტორანში მოსმენილი ქართველი კაცის მოყოლილი ამბავი ავიწყდება:

– ბუენოს აირესის რესტორან „ზუმ ედელვაის“-ში მოსმენილი ქართველი კაცის მოყოლილი ამბავი! „ვიცი, მამა მკვლელი მყავს, მერე რა? თქვენ რა, არ მოგიკლავთ? სხვათაშორის მამაჩემის ტრაკით ვარ აქ , როცა მინდა, სადაც მინდა იქ წავალ! ლონდონში ბინა მიყიდა დედამ, ბუგატი! ვისაც ხელს დავადებ ჩემი იქნება! ნაძირალას, მამაჩემს თუ აუხტა, მოვაკლევინებ – მაყუთი მაქვს! ვიტყვი და დაგაჩოქებ, ცოცხებს მოვიმარაგებ (იცინის)! დედას მოგი$$ნავთ, ვერაფერს დაგვაკლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგანაც უმეტესობა საქართველოში გადაგვარდით, სააკას ვენაცვალე, მიზანი მიღწეულიაო. კულტურა? კარგი რა?! ჩვენც გვიყვარს ტოტო კუტუნიო, ვეტრფით ანანიაშვილს, ვნახე, ოპერაში რომ ჭიკჭიკებდა, მომეწონა! აქედან ლოს ანჯელესში მივდივარ „ოსკარზე“ ვიშოვე ბილეთები – მე და თიკა მივფრინავთ ზეგ! ჩილედან დედა ჩამოვიდა, დამირეკა, კონცერტის შემდეგ ეგლესიასი დავპატიჟეო, ხულიოო, რესტორანში – მაგარი ქალია. არ იბაზროთ და ერთმა ნაბიჭვარმა, აქ წამოსვლის წინ მანქანა გამიჩხაპნა, მივაგდეთ სადარბოზში ხილიანზე, შემატყობინეს, დროზე ვერ მოუსწრო დამპალმა სასწრაფომ და... ფაფუ! მაინც რა უსუსურები არიან ჩვენი ვითომ ექიმები!.. ხალხი სულ ... მაგრამ მამამ თქვა, უკვე ჩვენსკენ მოვახედეთო. ის სიმღერების ავტორი, ჩვენს გვერდით სახლი რომ წამოჭიმა, დღეს იძახის პოლიტიკაში ჩარევა სირცხვილიაო!.. აბა რა, ჩემმა ბიძაშვილმა მოიყვანა იმ პოეტის ბოზი ქალიშვილი! არა უშავს მოვა დრო და გავუხსენებთ დამპალ მგოსანს, მიტინგებზე რომ დაეთრეოდა-ინტელიგენტ!“ – „იყოს მამა მკვლელი, იყოს დედა მრუში, ოღონდ კარგი კაცი, გერქვას ხალხის გულში!“ – ბერტოლტ ბრეხტი.,„კავკ.ცარც.წრე“, – წერს რეჟისორი.

ამ ამბის გახსენებამ კი რობერტ სტურუა ისევ პოლიტიკურ ორომტრიალში ჩაითრია და საზოგადოებას განკურნებაც სთხოვა:

– ზოგჯერ ვფიქრობ, რამ გამამწარა ასე, რით ვერ დავშოშმინდი, რატომ ვერ ვწყნარდები. კი ბატონო, გამაგდეს, არ დამიჯერებთ, ამით ხომ უნებლიეთ თავისუფლებაც მაჩუქეს. ისიც გაიხსენეთ, რომ უფრო ადრე, 2004-დან ავარდი – ვიგრძენი, რა ნაძირალებს ჩაუგდეთ ხელში ჩვენი ბედკრული სიცოცხლით სავსე მხარე! და ვეტაკე!.. იქნებ მომარჩინოს ვინმემ?! მიშველეთ, გადამარჩინეთ ამ სიძულვილს! არა! არა! მირჩევნია ასევე დაუნდობელი წავიდე ამ ქვეყნიდან – ვერ შევუნდობ, ვერ ვაპატიებ! ზოგჯერ კი მეცოდებიან ეს არაკაცები – როგორ იოლად შეტოპეს ბოროტების ჭაობში, რა იოლად ჩაკლეს საკუთარი სულები?!

ყველაფერს გაუძლებს ქართველი, უნიჭო ჯალათების ათი წლის მმართველობას კი დიდი ვაი-ვაგლახით! სამწუხაროდ, დროა საჭირო... და ზოგჯერ დიდი დრო...

ათი წელი აპარპაშეს ვიღაც უნიჭო, ჭკუათხელი, ფულებით ამარაგებდნენ, მკვლელობები მიუჩქმალეს, კრიმინალების მაფია შეაქმნევინეს – და, როგორ გინდა, საკუთარ ხალხს გამოუტყდე საკუთარ მძიმე დანაშაულში?!

იცრუა ამ უნიჭო მოჭადრაკემ – მხოლოდ პატრიარქს კი არა, სიამოვნებით დახვრეტდა ყველა ქართველს! საკუთარი ხელით მოგვიღებდა ბოლოს! ჯერ გვაწამებდა და ვინც არ დაუწვებოდა, ვინც არ გაიხრწნებოდა წიწამურს მოგვანატრებდა. ღმერთო, რა ბორტი სული ჩაითესლა ამ გადამთიელ არაკაცებში! საიდან? რატომ? ო, რა სიფრთხილე გვმართებს!!! ერთი მენაგვე საკუთარმა ბოსებმა შეიკვდლეს (შეგარგოთ ღმერთმა), დატკბით! თქვენ კი, დარჩენილებო, დროზე წადით, დროზე – თავს უშველეთ! თუმცა ამ დამპალ პოლიტიკოსებს, გამწარებულნი ნიღბებს რომ იხსნიან, ვინ შეიფარებს! თუ თქვენ ბოროტ და ჭკუათხელ ბელადს დროებითი თავშესაფარი ჩაჩხირეს გაუმაძღარ ყბაში, თქვენ ვინ დაგეხმარებათ?! თურმე რა უძირო ყოფილა ბოროტების ბნელი უფსკრული!

ახლა ვნახე დოკუმენტური ფილმი ნაცისტურ პარტიაზე, ჰიტლერზე, გებელსზე და ა.შ. ღმერთო, როგორი მსგავსებაა, როგორ ერთნაირად მოქმედებენ ეს ფსიქოპატები?!

ამ სააკას, თავისი პროვინციალი და ამიტომ უფრო საშინელი ჯალათებით და დაცრუებული ტელევიზიით ათასჯერ მეტი ფული აქვს ვიდრე ბიძინას.

შეკითხვა: ერთხელ მაინც თუ დაუხარჯავთ საქართველოსთვის თავისი ნაბანდიტური მაყუთი? – აინტერესებს რობერტ სტურუას.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის




ცფ,ფყრჯ ჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

**უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# შენგელია და ფაჩულია ისევ უქმობენ

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA) მორიგმა სათამაშო დღემაც ქართველთა გარეშე ჩაიარა. თორნიკე შენგელიას მოედანზე გასვლის საშუალება ამჯერადაც „ჩიკაგოს“ მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო არ მიეცა, ხოლო ზაზა ფაჩულია, მართალია, სრულფასოვნად ვარჯიშს შეუდგა, მისი მყის განაცხადში შეყვანას მილუოკელები მაინც მოერიდნენ.



„ბულსი“ სან ანტონიოს სტუმრობდა და „სპურზთან“ სასახელო გამარჯვება იზეიმა – 96:86. საინტერესოა, რომ ჩიკაგოელთა თავკაცმა ტომ ტიბოდომ სულ 9 კალათბურთელი დატვირთა და მათგან შვიდმა მინიმუმ 10 ქულა ჩააგდო. ამასთან, კარლოს ბუზერმა (16 ქულა, 12 მოხსნა) და ჯოაკიმ ნოამ (10 ქულა, 10 მოხსნა) ორმაგი დუბლის შესრულებაც მოახერხეს.

ტონი პარკერის და ტიმ დანკანის შედეგიანმა თამაშმა ვერ იხსნა „სპურზი“ ზედიზედ მე-3 მარცხისგან. ფრანგმა გამთამაშებელმა 20 ქულას 6 პასი წაამატა, ამერიკელი ვეტერანი ფორვარდის მონაგარი კი 17 ქულა და 12 მოხსნა იყო.

„ჩიკაგომ“ 22 წაგების წილ 23-ე გამარჯვება იზეიმა და კვლავ დადებით ბალანსზე გავიდა. შენგელიას კლუბს ცენტრალურ დივიზიონში „ინდიანა პეისერზის“ კვალად მე-2 ადგილი უკავია, მთელს აღმოსავლეთ კონფერენციაში კი უკვე მე-5 პოზიციაზეა.

გაცილებით უარესად აქვს საქმე ფაჩულიას „ბაქსს“, რომელმაც 8 მოგების ფონზე 37-ე მარცხი განიცადა და ორივე კონფერენციაში ერთად აღებული, ლიგის უარეს გუნდად რჩება.

მილუოკელები ამჯერად „ფინიქს სანზს“ დაუხვდნენ და პირველი ტაიმის შემდეგ 12 ქულით აგებდნენ, რისი აღმოფხვრაც რთული საქმე აღმოჩნდა. საბოლოოდ, 126:117 სტუმართა სასარგებლოდ.

„სანზის“ მაისურით სლოვენიელმა მცველმა გორან დრაგიჩმა გაიბრწყინა 30 ქულით, „ბაქსს“ კი, შესაბამისად, 27 და 24 ქულით თურქმა ფორვარდმა ერსან ილიასოვამ და ამერიკელმა უკანახაზელმა ბრენდონ ნაიტმა ულიდერეს.

არ იქნება ორიოდ სიტყვა კევინ დიურანტის ბრწყინვალე სერიაზეც რომ არ ვთქვათ, რომელიც ზედიზედ 12 მატჩია მინიმუმ 30 ქულას აგდებს და ტრეისი მაკგრეიდის სუპერშედეგამდე სულ ცოტაღა უკლია. ამ უკანასკნელმა 2002-03 წლების სეზონში მინიმუმ 30 ქულა მიჯრით 14 შეხვედრაში მიითვალა, რაც დღემდე ნბა-ს საუკეთესო მაჩვენებლად რჩება.

საინტერესოა, რომ დიურანტმა საკუთარი სერია ლიგის მოქმედ ჩემპიონ „მაიამი ჰითთან“ განაგრძო, მისმა „სანდერმა“ კი მოულოდნელად იოლი გამარჯვება (112:95) იზეიმა. ფლორიდელებს ვერ საკუთარი ვარსკვლავის ლებრონ ჯეიმსის გარჯამ უშველათ, რომელმაც 34 ქულა ჩააგდო, თუმცა, „ჰითმა“ წარმატებული საწყისი პერიოდის (30:21) შემდეგ, სამივე მეოთხედი დათმო და სეზონში მე-13 მარცხი განიცადა.

**ტორონტო – ორლანდო 98:83**
**(33:20, 22:20, 25:25, 18:18)**

**ტორონტო:** ლოური (33 ქ. 7 მ. 11 პ.), ჯონსონი (22 ქ. 11 მ.), ვალანჩიუნასი (14 ქ. 15 მ.), როსი (12 ქ. 8 მ.), ვასკესი (6 ქ. 6 პ.); ნოვაკი (6 ქ.), სელმონსი (3 ქ.), ჰეიესი (2 ქ. 7 მ.), სტოუნი, ჰენსბრო.

**ორლანდო:** ვუჩევიჩი (16 ქ. 10 მ.), ნელსონი (13 ქ.), ოლადიპო (12 ქ.), აფლალო (10 ქ.), დევისი (5 ქ.); მური (9 ქ.), ჰარისი (9 ქ. 11 მ.), ო'ქუინი (6 ქ. 4 დ.), ჰარკლესი (3 ქ.), ნიკოლსონი.

**მაიამი – ოკლაჰომა სიტი 95:112**
**(30:21, 20:34, 25:36, 20:21)**

**მაიამი:** ჯეიმსი (34 ქ.), ბოში (18 ქ. 9 მ.), უეიდი (15 ქ.), ჩალმერსი (4 ქ. 8 პ.), ბატიე (3 ქ.); ანდერსენი (8 ქ. 7 მ.), ბიზლი (6 ქ.), ალენი (5 ქ.), დუგლასი (2 ქ.), კოული, ლუისი, ჰასლემი.

**ოკლაჰომა სიტი:** დიურანტი (33 ქ. 7 მ.), იბაკა (22 ქ. 8 მ.), ჯეკსონი (9 ქ.), სეფოლოშა (9 ქ. 6 ჩ.), პერკინსი; ლემბი (18 ქ.), ფიშერი (15 ქ.), კოლისონი (3 ქ.), ჯონსი (3 ქ.), ადამსი.

**ბოსტონი – ფილადელფია 94:95**
**(26:23, 21:30, 24:21, 23:21)**

**ბოსტონი:** სალინჯერი (24 ქ. 17 მ.), გრინი (18 ქ.), ბასი (11 ქ.), პრესი (2 ქ.), უოლესი (1 ქ. 8 მ.); ჰამფრისი (13 ქ. 9 მ.), ბეილესი (10 ქ.), ოლინიკი (9 ქ.), ჯონსონი (6 ქ.).

**ფილადელფია:** ჰოვსი (20 ქ. 8 მ.), ტერნერი (16 ქ. 8 პ.), იანგი (16 ქ.), ანდერსონი (13 ქ.), კარტერ-უილიამსი (10 ქ. 7 პ.); როტენი (8 ქ.), ტომპსონი (4 ქ.), დედმონი (4 ქ.), უილიამსი (2 ქ.), ალენი (2 ქ.).

**მილუოკი – ფინიქსი 117:126**
**(19:28, 31:34, 34:29, 33:35)**

**მილუოკი:** ილიასოვა (27 ქ.), ნაიტი (24 ქ. 8 პ.), მიდლტონი (17 ქ.), ჰენსონი (9 ქ.), ადეტოკუმბო (6 ქ.); სენდერსი (14 ქ. 9 მ.), უოლტერსი (11 ქ.), ბატლერი (9 ქ.), რიდნური.

**ფინიქსი:** დრაგიჩი (30 ქ. 6 პ.), გრინი (23 ქ.), ფრაი (13 ქ.), პლამლი (8 ქ.), ტაკერი (3 ქ. 7 მ.); მარკუს მორისი (16 ქ.), მარკიფ მორისი (13 ქ.), ბარბოზა (7 ქ.), ლენი (7 ქ. 10 მ.), სმიტი (6 ქ. 6 პ.).

**მინესოტა – ნიუ ორლეანი 88:77**
**(23:16, 24:19, 20:27, 21:15)**

**მინესოტა:** ლავი (30 ქ. 14 მ.), მარტინი (18 ქ.), რუბიო (5 ქ. 6 პ.), ტურიაფი (4 ქ. 8 მ.), ბრიუერი (3 ქ.); კანინგემი (12 ქ.), ბარეა (10 ქ. 6 პ.), მბა ა მუტე (3 ქ.), ბადინგერი (3 ქ.), ჯენგი.

**ნიუ ორლეანი:** ამინუ (18 ქ. 12 მ.), გორდონი (14 ქ.), რობერტსი (9 ქ.), აჟინკა (4 ქ.), სტიემსმა (3 ქ. 12 მ.); ევანსი (11 ქ.), რივერსი (8 ქ.), მოროუ (7 ქ.), უიტი (3 ქ.), მილერი.

**დალასი – ჰიუსტონი 115:117**
**(30:32, 27:31, 28:28, 30:26)**

**დალასი:** ნოვიცკი (38 ქ. 17 მ.), კალდერონი (8 ქ.), ელისი (6 ქ.), მერიონი (6 ქ. 7 მ.), დალემბერტი (2 ქ.); კარტერი (22 ქ.), ჰარისი (14 ქ.), ბლეირი (13 ქ.), რაიტი (6 ქ.), კრაუდერი.

**ჰიუსტონი:** პარსონსი (26 ქ.), ჰოვარდი (21 ქ.), ლინი (18 ქ. 7 მ. 7 პ.), ჯონსი (16 ქ.), ბევერლი (11 ქ.); მოტეიუნასი (12 ქ. 13 მ.), ბრუკსი (11 ქ.), კასპი (2 ქ.), ბრიუერი.

**დენვერი – შარლოტი 98:101**
**(21:32, 31:21, 23:22, 23:26)**

**დენვერი:** ფოი (33 ქ. 7 პ.), ჩენდლერი (9 ქ.), ჰიკსონი (7 ქ.), ფარიდი (6 ქ.), რობინსონი; ფურნიე (19 ქ. 6 პ.), მოზგოვი (15 ქ. 14 მ.), არტური (7 ქ.), მილერი (2 ქ.), ჰემილტონი.

**შარლოტი:** ჯეფერსონი (35 ქ. 11 მ.), სეშნსი (16 ქ. 7 პ.), ჰენდერსონი (16 ქ. 8 მ.), კიდ-გილკრისტი (8 ქ.), მაკრობერტსი (4 ქ.); დუგლას-რობერტსი (6 ქ.), პარგო (5 ქ.), ზელერი (4 ქ.), ბიიომბო (4 ქ. 9 მ.), ტოლივერი (3 ქ.).

**სან ანტონიო – ჩიკაგო 86:96**
**(15:21, 21:19, 25:28, 25:28)**

**სან ანტონიო:** პარკერი (20 ქ. 6 პ.), დანკანი (17 ქ. 12 მ.), დე კოლო (8 ქ.), ჯეფერსი, ეირსი; მილსი (12 ქ.), ბელინელი (11 ქ.), ჯოზეფი (8 ქ.), დიაო (4 ქ.), ბეინსი (4 ქ.), ბონერი (2 ქ.).

**ჩიკაგო:** ბატლერი (19 ქ.), ბუზერი (16 ქ. 12 მ.), ოგასტინი (15 ქ.), დანლივი (10 ქ.), ნოა (10 ქ. 10 მ. 8 პ. 4 დ.); გიბსონი (15 ქ.), ჰაინრიხი (11 ქ.), სნელი, მოჰამედი.

**საკრამენტო – მემფისი 89:99**
**(24:25, 22:23, 17:21, 26:30)**

**საკრამენტო:** ტომასი (24 ქ.), გეი (23 ქ.), ტომპსონი (6 ქ. 7 მ.), გრეი (4 ქ.), ტორნტონი (2 ქ.); უილიამსი (8 ქ.), ლენდრი (8 ქ. 9 მ.), მაკლემორი (6 ქ.), ფრედეტი (4 ქ.), ეისი (4 ქ.).

**მემფისი:** კონლი (27 ქ. 10 პ.), რენდოლფი (18 ქ. 7 მ.), გასოლი (12 ქ.), პრინსი (9 ქ.), ლი (4 ქ.); მილერი (11 ქ.), დევისი (6 ქ.), კალატესი (4 ქ.), ჯონსონი (4 ქ.), კუფოსი (4 ქ.).

**კლიპერსი – ვაშინგტონი 110:103**
**(30:31, 32:20, 19:23, 29:29)**

**კლიპერსი:** გრიფინი (29 ქ. 9 მ.), რედიკი (20



ქ.), კოლისონი (16 ქ. 9 პ.), ჯორდანი (14 ქ. 17 მ.), ბარნსი (4 ქ.); კროუფორდი (21 ქ.), დადლი (5 ქ.), თურქოღლუ (1 ქ.), გრინი, ჰოლინზი.

**ვაშინგტონი:** ბილი (20 ქ.), უოლი (19 ქ. 11 პ.), ნენე (14 ქ. 8 მ. 6 პ.), არიზა (13 ქ. 6 პ.), გორტატი (8 ქ.); სერაფინი (10 ქ. 7 მ.), უებსტერი (9 ქ.), ბუკერი (6 ქ.), ტემპლი (4 ქ.), პორტერი.

**ატლანტა – დეტროიტი**
**გადაიდო უამინდობის გამო**

worldsport.ge

## ოფიციალურად: მილანმა“ ტაარაბტი გაიფორმა



ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ნახევარმცველი ადელ ტაარაბტი კარიერას „მილანში“ განაგრძობს. „როსონერის“ ოფიციალური საიტის ცნობით, 24 წლის მაროკოელმა ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა.

„მიხარია, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში მოვხვდი. ზეედორფს უკვე ველაპარაკე და თანამშრომლობის დაწყებით ორივენი კმაყოფილნი ვართ. შემტევი ფეხბურთელი ვარ და მომწონს, როცა თავდამსხმელების უკან ვმოქმედებ“, – განუცხადა მილანელთა ახალწვეულმა კლუბის ტელევიზიას.

შეგახსენებთ, რომ ტაარაბტის სატრანსფერო უფლებები ქპრ-ს ეკუთვნის. მაროკოელმა სეზონის პირველი ნახევარი იჯარის წესით „ფულემში“ გაატარა. დიდი ალბათობით, ნახევარმცველი „მილანში“ სეზონის ბოლომდე იქნება განათხოვრებული. არაა გამორიცხული, ზაფხულის სატრანსფერო სეზონში, იტალიელებმა ტაარაბტის სატრანსფერო უფლებები გამოისყიდონ.

worldsport.ge

## ტრაბზონის მეცხრე მოგება, მსხვილიძის 4 გოლი

თურქეთის სახელბურთო ჩემპიონატში მორიგი მატჩი მოიგო გიგა ტორონჯაძისა და რატი მსხვილიძის „ტრაბზონსფორმა“ – გუნდმა სტუმრად დაამარცხა „გენჩლერბირლიგი“ 30:24.




ტრადიციულად, ყველაზე შედეგიანი იყო აზერბაიჯანელი ოლეგ გეორგიევსკი – 15 გოლი, 4-4 გაიტანეს რატი მსხვილიძემ და ისმაილ ჰალილოღლუმ. მეკარე ტორონჯაძე განაცხადში არ ყოფილა.

თურქეთის ჩემპიონატს 15 თამაშდან 30 ქულით ლიდერობს „ბეშიქთაში,“ სადაც თამაშობს საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვაჟი, დავიდ რაშიჩი. შემდეგ მოდის ანკარის ორი კლუბი „ანკარა“ და „ილიოზელი“ – 22 და 21 ქულა. 18-18 აქვთ „ნილუფერს,“ „ტრაბზონსა“ და „მერსინს.“ შემდეგ ტურში, 1 თებერვალს,

ტრაბზონსფორი“ სწორედ „ნილუფერს“ ეთამაშება საკუთარ მოედანზე.

ორწრიანი ტურნირის შემდეგ თურქეთის ჩემპიონატის პლეიოფში 8 გუნდი გადის.

worldsport.ge

## არსენალს“ ტელიოს იჯარა სურს

ლონდონის „არსენალი“ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე მნიშვნელოვნად გააქტიურდა. ბრიტანული პრესის ცნობით, „მეთოფეები“ კატალონიის „ბარსელონას“ ფორვარდის – კრისტიან ტელიოს სეზონის ბოლომდე იჯარით აყვანას გეგმავენ.




როგორც ირკვევა, ინგლისელებს ესპანელებთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებული აქვთ. „ბლაუგრანას“ თავდამსხმელის დათმობა არ სურს, მაგრამ არაა გამორიცხული, 6-თვიან იჯარას დათანხმდეს.

ტელიოს გარდა, „არსენალი“ გელზენკირხენის „შალკეს“ ნახევარმცველ იულიან დრაქსლერსაც უმიზნებს. ლონდონური კლუბის დელეგაცია გერმანიაში იმყოფება და „ხუმარების“ მესვეურებთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

worldsport.ge

## გუარდადომ ლევერკუზენს“ მიაშურა




„ლევერკუზენმა“ „ვალენსიას“ მარცხენაფლანგელი ანდრეს გუარდადო ზაფხულამდე ინათხოვრა. ამ ინფორმაციას „ღამურების“ ოფიციალური საიტი ადასტურებს.

მხარეებს საიჯარო ხელშეკრულება უკვე გაფორმებული აქვთ. სეზონის ბოლოს, ლევერკუზენელებს 27 წლის მექსიკელის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვა შეეძლებათ.

ცნობისათვის, ესპანეთის პრიმერა დივიზიონის მიმდინარე გათამაშებაში, გუარდადომ 16 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მის ანგარიშზე არც გოლია, არც საგოლე გადაცემა.

worldsport.ge

## ვერდერი“ ობრანიაკით ძლიერდება

ბრემენის „ვერდერი“ „ბორდოს“ ნახევარმცველ ლუდოვიკ ობრანიაკს იანვრის სატრანსფერო სეზონში შეიძენს. ფრანგული პრესის ცნობით, 29 წლის შუახაზელი ბრემენში უკვე იმყოფება.



ხუთშაბათს, ობრანიაკს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდება, რისი წარმატებით გავლის შემდეგაც, მხარეები 3.5-წლიან კონტრაქტს გააფორმებენ. ჯერჯერობით, „ბორდო“ და „ვერდერი“ ოფიციალური განცხადებებისგან თავს იკავებენ.

როგორც ირკვევა, ობრანიაკის სანაცვლოდ, „ვერდერი“ „ბორდოს“ 2 მილიონ ევროს გადაუხდის. გარდა ამისა, პერიოდულად, ფრანგებს ბონუსებიც დაერიცხებათ.

worldsport.ge

## ლიპარტია პოლონელებთან დამარცხდა

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ლუგანსკის „ზორიამ“, რომელშიც ჯაბა ლიპარტია ირიცხება, მეორე სპარინგი ჩაატარა და პოლონეთის „რუხთან“ 0:3 წააგო. საფეხბურთო კლუბ „ზორიას“ ვებგვერდის ინფორმაციით, ქართველი ნახევარმცველი სასტარტო შემადგენლობაში არ იმყოფებოდა და თამაშში შესვენების მერე ჩაერთო.



ახალი სეზონისთვის თურქეთში ემზადება ტაშკენტის „ფახთაქორი“, სადაც მალხაზ მახარაძე გამოდის. უზბეკებმა შეკრებაზე პირველი საკონტროლო მატჩი რუსეთის პირველი დივიზიონის ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკთან“ ჩაატარეს, რომელიც 1:1 დასრულდა. მახარაძეს არ უთამაშია.

worldsport.ge

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

2014, 31 იანვარი, №25

# დავით დოიაშვილმა ლურჯი ფრინველი“ დადგა

ეკა ირემაშვილი



რეჟისორმა დავით დოიაშვილმა ტელეპროექტის განხორციელების შემდეგ, „ლურჯი ფრინველი“ მუსიკისა და დრამის თეატრშიც გადაიტანა. „ლურჯი ფრინველის“ სატელევიზიო ვერსიის პრემიერა საშობაოდ გაიმართა. რეჟისორმა გადაწყვიტა მეტერლინკის ნაწარმოები თეატრშიც გადაეტანა და აქტიურ მუშაობას შეუდგა. ამჯერად, სარეპეტიციო პროცესი დასრულებულია, ორკვირიანი მუშაობის შემდეგ, შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელთან პრემიერაზე შესახვედრად ემზადება.

– ეს არის მუსიკალური წარმოდგენა, რომელიც რეჟისორმა დავით დოიაშვილმა ცნობილი დრამატურგის და ფილოსოფოსის მორის მეტერლინკის გამორჩეული პიესის „ლურჯი ფრინველის“ მიხედვით დადგა. პიესის გმირები მოგზაურობენ ხიფათებით ალსავსე რეალურ და ირეალურ სამყაროებში, რათა ლურჯი ფრინველი ანუ ბედნიერება იპოვონ, თუმცა მას საკუთარ სახლში აღმოაჩენენ. მიუხედავად იმისა რომ მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“ თავისი შინაარსით და დრამატურგის მიერ მოცემული პირობითობით საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს თეატრალური სცენისთვის, ეს სპექტაკლი საინტერესოა ყველა თაობის მაყურებლისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის, რომლებსაც ის კარს გაუხსნის თეატრის ჯადოსნურ სამყაროში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპექტაკლის სანახაობით მხარეს, მის მუსიკალურობას, ეფექტებისა და ზღაპრული ხერხების სიმრავლეს, ამიტომ მუსიკალურ მასალად გამოყენებულია ლეგენდარული ჯგუფის „ბითლზი“ სიმღერები, სანახაობას კი კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის პერსონაჟების უჩვეულო კოსტუმები და ქორეოგრაფია, – აცხადებს მუსიკისა და დრამის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინო გალეგაშვილი.

# დათო ტურაშვილის ჯინსების თაობა“ სომხურად ითარგმნება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რიტეტი უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემაცაა.

– 2014 წელს სამინისტროს მხარდაჭერით დაგეგმილია გერმანელი კლასიკოსი მწერლის ფრანც კაფკას ეპისტოლარული ჟანრის ნაწარმოების „წერილი მამას“ გამოცემა. ნაწარმოები პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე და გამოცემის შემდეგ ქართველი მკითხველი შეძლებს მშობლიურ ენაზე დიდი კლასიკოსის ნაწარმოების გაცნობას. ფრანც კაფკა XX საუკუნის გერმანელი მწერალი და ნოველისტი, რომლის ნაშრომთა უმრავლესობის გამოქვეყნება მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ მოხერხდა. მისი უნიკალური წერის სტილი დღემდე იპყრობს კრიტიკოსთა და მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას. „წერილი მამას“ 1919 წელს არის დაწერილი, როცა იგი მაქს ბროდთან, რომელიც ჩეხი-ებრაელი მწერალი, ჟურნალისტი, კომპოზიტორი და კაფკას ახლო მეგობარია, ერთად ცხოვრობდა. ეს არის ნაწარმოები, სადაც ერთმანეთში გაედინება ბიოგრაფიული და მითოლოგიური პროცესები. ეს არის ერთადერთი ნაწარმოები, სადაც რეალურიდან ჰიპერრეალურში გადადის ავტორი-პერსონაჟი. ამ პროექტის ავტორი ქართულ-ფინური გამომცემლობის დირექტორი ნათია მერებაშვილია, – ნათქვამია საგანგებო სამინისტროში.

ცნობილი ხდება ისიც, რომ საქართველო 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში მიიღებს მონაწილეობას. როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მას საქართველო სტუმრის სტატუსით დაესწრება.

– საქართველო 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში მიიღებს მონაწილეობას. მას საქართველო სტუმრის სტატუსით დაესწრება. ესაა უზარმაზარი და ძალიან დიდი მნიშვნელობის ბაზრობა, როდესაც დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი გამომცემლები, მწერლები, მთარგმნელები და სხვები ფრანკფურტში ჩადიან. 2018 წელს საქართველო იქ საპატიო სტუმარი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლება გვექნება, მთელი გერმანიის მასშტაბით მოვაწყოთ კულტურული ღონისძიებები. ფრანკფურტში ჩავლენ ჩვენი ანსამბლები, იქ ჩავიტანთ თანამედროვე ხელოვნებასაც. ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობით საქართველოს მსოფლიოში უკეთ გაიცნობენ, – განაცხადა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ.




# რას ითხოვს ანსამბლი მეტეხი“?

ეკა ირემაშვილი

35 წლიანი ისტორიის მქონე ნაციონალური ბალეტი „მეტეხი“ და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი დავით ფოცხიშვილი დაფინანსებას ითხოვს. როგორც ის აცხადებს, საჭიროა კულტურის სამინისტრო გამოფხიზლდეს და ყურადღება მიაქციოს ღვაწლმოსილ ანსამბლებსა და ქორეოგრაფებს.

**დავით ფოცხიშვილი, ქორეოგრაფი:**

– ჩვენ დაფინანსებას არ ვიმსახურებთ და „ბასიანი“ რადგან ოცნებასთან ითანამშრომლა, ეკუთვნის დაფინანსება?! რომელ მსოფლიოს სცენაზე გამოსულა ან რა გაუკეთებია ერისთვის ჩვენზე მეტი?! 1962 წლიდან ჩვენი ოჯახი იბრძვის საკუთარი ხარჯებით... მსოფლიო მოიარა ანსამბლმა, არ დარჩენილია არცერთი ცნობილი თეატრი და ცნობილი პროდიუსერი, ვისაც ჩვენს დასთან არ უმუშავია და შედეგად რა დავიმსახურეთ?! ეს სახელმწიფო დაფინანსების ქვეშ მყოფი ანსამბლები რომ იჭიმებიან აბა 35 წელი თავისით შექმნან რამე და მერე ვისაუბროთ სხვა თემებზე. გამოფხიზლება უნდა ცოტა კულტურის სამინისტროს ესე არ შეიძლება! ჩვენი, ფოცხიშვილების გვარი ხელოვნებაში ყოველთვის იარსებებს და ბოლოს ნამდვილად შერცხვებათ ჩვენთან საუბარი. მოვუწოდებ, კულტურის სამინისტროს რომ არა მარტო ჩვენ, ის ღირსეული ანსამბლები და შემოქმედებიც დააფასონ სანამ დროა. ხალხის მოთმინება მალე ამოიწურება.

რითი არჩევენ დამსახურებებს ძალიან გვაინტერესებს ჩვენს ოჯახს. სახლში მაქვს 10.000-ზე მეტი მსოფლიოს ტურნეების მასალა, ის მასალა კი არა, ნაცნობობით რომ გამოჰყავთ კონცერტებზე და მაყუთებს რომ ტეხავენ. არა, მეგობრებო, ეს მასალა არის მსოფლიოში წამყვანი თეატრების, სადაც 1978 წლიდან გამოდის ჩვენი ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტი „მეტეხი“ ეს არაფერს ნიშნავს? ვის მიუტანოთ ეს მასალა მიგვასწავლეთ რა! ბუნების დაცვის სამინისტროს?!

მე არ ვიცი სხვა სფეროში რა ხდება, მაგრამ ჩვენს სფეროში ძალიან, ძალიან, ცუდი სიტუაციაა. საგანგაშო სიტუაციაა! მინისტრთან რომ მიხვალ შენ დამსახურებული არტისტი და მართლა ხელოვნების გადარჩენის პროექტს რომ დადებ ის დაიწყებს (მეცენატობის კანონზე საუბარს) მაგარი დაგვენძრა.

ყველა ქორეოგრაფი უნდა გახდეს თავმოყვარე და სხვას კი არ უნდა გაუზარდონ გოჭები, არა! ამბიცია უნდა აიმაღლონ და დაძლიონ კერპთაყვანისმცემლობა. თქვენ გეუბნებით ქორეოგრაფებო! აბა თქვენი გულისთვის ვინმე თუ შეიწუხებს თავს და თუ გაიღებს რაიმეს! სხვა საუკუნეა, გამოფხიზლდით! ძალიან ბევრი ქორეოგრაფი უკვე გამოფხიზლების გზაზეა და კარგი პროგრესია! შექმენით თქვენი და რეალიზაციაც მოახდინეთ ისე რომ სხვას ნუ მიუყვანთ გოჭებს დასაკლავად.

# მანდარინები“ ესტონეთის კინოკრიტიკოსთა პრიზიორია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დაარღვიეს ჩვენი უფლებები: „საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი №18 ქვეპუნქტი 2“-ის თანახმად საჯაროდ მოგიწოდებთ, დაუყონებლივ შეწყვიტეთ კინოფილმ „მანდარინები“-ს უნებართვოდ გავრცელება ან/და ნაწარმოების ნებისმიერი სხვაგვარი ფორმით გამოყენება!!!“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ცნობილი კინორეჟისორი იშტვან საბო ზაზა ურუშაძის ნამუშევარს ასე აფასებს:

– საუკეთესო ფილმი რაც მე ამ წელს ვნახე, იყო ესტონურ-ქართული კოპროდუქცია „მანდარინები“.

მოწონება ვერ დაიმსახურა ქართველი რეჟისორის ნამუშევარმა ქართველ კინომცოდნეებსა და არტკრიტიკოსებში. როგორც მწერალი და არტკრიტიკოსი შოთა იათაშვილი რეცენზიაში წერს:

– ახლა ვუყურე „მანდარინებს“. ნუ საერთო ფონზე რაღაც არის, მაგრამ მთლიანობაში არ მომეწონა. შევეცდები ჩამოვაყალიბო, რატომ: 1. ეს მარტო ამ ფილმის პრობლემა ნამდვილად არაა, მთლიანობაში თანამედროვე კინემატოგრაფის პრობლემაა, მაგრამ ვიზუალი იმდენად „ტელეშნიკურია“, სერიალების გადაღების დონეზეა, რომ ძნელია სერიოზულად განიხილო, როგორც კინო. 2. ტოლერანტობის თემაზე შეკვეთილ ფილმს ჰგავს, თან ეს გაკვეთილი ტოლერანტობაში საკმაოდ სწორხაზოვანია. 3. სქემაც ისეთია, ცოტა არ იყოს ხელოვნური: ესტონელები, ანუ ევროპელები, რომელთაც ერთმანეთთან მეომარი კავკასიელები უნდა გააშველონ და შეარიგონ. პოლიტკორექტულობის დაცვა უნდა თან თითქოს რეჟისორს, ამიტომ მთავარ პერსონაჟებად ქართველი და აფხაზი კი არ შემოჰყავს, არამედ რატომღაც ქართველი და ჩეჩენი. რეჟისორის ქართველობა მაინც თავისას შვრება და ქართველი ჩეჩენს სულ უინტელექტობაზე „აწვება“, ანუ, მაინც არაპოლიტკორექტული გამოსდის. ბოლოს საერთოდ: დებილი რუსები ჩეჩენს და ქართველს ერთმანეთისგან ვერ არჩევენ და ჩეჩენს, როგორც ქართველს, მხეცურად დახვრეტას დაუპირებენ. ანუ მაინც რუსებს ჩააშლევინა რეჟისორმა ის შერიგების პროცესი, რაც ქართველსა და ჩეჩენს შორის დაიწყო და მტერი კავკასიელები რუსების წინააღმდეგ გააერთიანა. 4. სადაც ესტონელებს ესტონელები თამაშობენ და ქართველს – ქართველი, ჩეჩენი ჩეჩენს უნდა ეთამაშა. შეიძლება იტალიელმა ან ფრანგმა მაყურებელმა ეს ვერ იგრძნოს, მაგრამ ქართველი და საერთოდ, პოსტსაბჭოელი მაყურებელი, იგრძნობს, რომ აქ ნაკაშიძის გმირი ყალბია. ელემენტარულად, იმ ჩეჩენს თავისი დიქცია უნდა ჰქონდეს, როგორც ესტონელსა აქვს თავისი დიქცია და ქართველს თავისი. ჩეჩენის ფსიქიკა უნდა მოჰქონდეს ეკრანიდან და ვერ მოაქვს. არაა ის პერსონაჟი არანაირად ჩეჩენი და ეგ მომენტი სულ გიშლის ხელს ფილმის აღქმაში, მიღებაში. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ალბათ საკმარისია საერთო შთაბეჭდილების გასაზიარებლად. ისე პლუსად ვიტყვი, რომ დიალოგები ადგილებში ძალიან კარგადაა დაწერილი, პერსონაჟების ხასიათებს კარგად რომ ძერწავს და ერთმანეთს ისე აჯახებს, რომ მიუხედავად ასეთი დაძაბული გარემოსი, გულითაც გაცინებს. თუმცა როგორც ვთქვი, კინემატოგრაფიულად ეს სცენარი ვერაა კარგად რეალიზებული. აფხაზეთის ომზე გადაღებულ საუკეთესო ფილმად მე მაინც მგონია, რომ დღემდე გოგა ხაინდრავას „ოცნებების სასაფლაო“ რჩება.

შოთა იათაშვილის მოსაზრებას ეხმაურება კინომცოდნე გოგი გვახარია და სრულად ეთანხმება მის შეფასებას.

– რეცენზიის დაწერა მინდოდა, ზუსტად ამის დაწერა და მეზარებოდა. ნუ ახლა ამოვისუნთქე, რომ არ დავწერ. თანაც რეცენზია რომ დაწერო უნდა გადალახო უხერხულობა და ფილმის თაყვანისმცემლებს გაახსენო რა არის კინო, რა არის კინოს ენა, როგორ კინოს არ ივიწყებს ისტორია და როგორი კინოა ერთჯერადი. ჰოდა, უხერხულიცაა და მოსაბეზრებელიც უკვე. მსახიობის ბრალი არაა, როცა ეკრანზე რეჟისორს მხოლოდ მსახიობის დახმარებით უნდა ამბის მოყოლა და ავიწყდება, რომ კინოში მსახიობი ერთ-ერთია მხოლოდ. ეს რომ შეძლო ამისთვის ბერგმანი უნდა იყო!, – მიაჩნია გოგი გვახარიას.

მანამდე კი კინომცოდნემ სოციალურ ქსელში „მანდარინების“ მოკლე რეცენზია გამოაქვეყნა:

– ამ არეულობაში, პრინციპში კარგ დღეს, როცა სრულიად მოულოდნელი მხარდაჭერა გამომიცხადეს დავიწყებულმა ადამიანებმა, სულ დამავიწყდა, რომ ქართულ ფილმ „მანდარინებზე“ მინდოდა მეთქვა ორი სიტყვა:

ძალიან მიყვარს ზაზა და პრინციპში მისი გულშემატკივარი ვარ. ისიც მესმის, რატომ მოეწონა ბევრს ეს ფილმი – ამბავი ვითარდება, მოულოდნელობაც არის, რეჟისურაც არის და ფილმიც აწყობილია კარგად. თუმცა ის, რაც დიდ მიღწევად ითვლებოდა ქართულ კინოში თუნდაც 5 წლის წინ, ახლა ჩვეულებრივი ამბავია და აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

სამწუხაროდ, ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რატომ გადაიღო ზაზამ ეს ფილმი. მოსკოვის კინოფესტივალს ჰქონდა დევიზი „ზა გუმანიზმ კინოისკუსტვა, ზა მირ ი დრუჟბუ მეჟდუ ნაროდამი!“ და ეგ დევიზი გამახსენა ფილმმა. როცა გაუგებარია, რატომ არიან გმირები ასეთი კეთილები და ასეთი ბოროტები, ან რატომ ხდებიან კეთილები ასე სწრაფად. ადამიანის, პერსონაჟის დახასიათებისთვის კინოში მხოლოდ მსახიობი არ კმარა. უფრო პირიქით, მსახიობს ყველაზე ნაკლებად უნდა დავაკისროთ ეს მისია და ვიფიქროთ სცენარზე, დრამატურგიაზე, მოქმედების ატმოსფეროზე, დეტალების მიმართ პერსონაჟის დამოკიდებულებაზე, ფონთან დამოკიდებულებაზე და ბოლოს კამერის მიმართ დამოკიდებულებაზე და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ კამერა „სურათებს“ კი არ იღებს მხოლოდ ლამაზად, არამედ „ფუნჯია“ და პერსონაჟის დამოკიდებულება კამერასთან ქმნის კიდეც გმირის ხასიათს.

სხვაგვარად კინო და გმირები აგვიჩუყებს გულს, შეიძლება სულსაც, მაგრამ ცოტა ხანში ფილმი დაგვავიწყდება, – წერს კინომცოდნე.

შოთა იათაშვილის და გოგი გვახარიას შეფასებები სრულიად გასაგებია ფილმის რეჟისორის ზაზა ურუშაძისთვის. როგორც მან „ახალ თაობას“ განუცხადა:

– ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს. ესტონეთში მარტო ერთი ჯილდო კი არ მოგვანიჭეს, სამი ჯილდო იყო. ერთ-ერთი იყო წლის ფილმი, რომელსაც კინოკრიტიკოსები ესტონეთში ადგენენ. მთლიანობაში ფილმს 13 ჯილდო აქვს აღებული. რაც შეეხება გოგი გვახარიას და შოთა იათაშვილის შეფასებებს, არა უშავს, ეს მათი პრობლემაა. კარგად ვიცი, რომ ყველას ვერ მოეწონები და ეს სრულიად ბუნებრივია.

ქართული ფილმი „მანდარინები“, რომელიც ჟანრობრივად დრამაა, არაერთი საერთაშორისო ფესტივალის მფლობელია. ვარშავის „ა კლასის“ კინოფესტივალზე ზაზა ურუშაძის ნამუშევარი ორი პრიზით დაჯილდოვდა – საუკეთესო რეჟისურით და მაყურებლის პრიზით.

## hჰxცღxჰლბ ,

**შვეულად**: 1. ფლორიდის საკურორტო ცენტრი; 2. საბერძნეთის ძველი სახელწოდება; 3. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ბრიტანული ყველი; 6. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 7. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 11. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ფერის ღვინო; 13. სასიამოვნო სურნელი; 14. თოვლის ფანტელი; 15. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 16. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 17. ქართული ნაციონალური კერძი; 19. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. ინდოელ ქალთა სამოსელი.

**თარაზულად**: 1. ქართული ტელეკომპანია; 4. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 8. კვების გარკვეული რეჟიმი; 9. ბენიტო მუსოლინის მეტსახელი; 10. მოკლე, ხალხური, გონებამახვილური გამონათქვამი; 12 გოეთეს მშობლიური ქალაქი გერმანიაში; 14. ზრდილობიანი მიმართვა გათხოვილი ქალისადმი გერმანიაში; 15. ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 16. ათქვეფილი კვერცხის ცილისაგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 18. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 21. მემარცხენე ადამიანი; 22. უკუსვლა, დაქვეითება; 23. იტალიური რესტორანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჰxცღxჰლტ,ბც გფცეჲ[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კელარი; 2. რეიდი; 3. ფაშა; 5. სოკერი; 6. დრამი; 7. ჩხავერი; 11. რანტიე; 13. თრილერი; 14. ლიტვა; 15. მამლუქი; 16. გულჩორა; 17. დუკერი; 19. აჯიკა; 20. ფოთი.

**თარაზულად:** 1. კარდიფი; 4. ფუქსი; 8. შახტი; 9. კანა; 10. ანდორა; 12. კვაზარი; 14. ლოტი; 15. მინისტრი; 16. გოტიე; 18. პოლკა; 21. კუკია; 22. რუსთავი; 23. კურორტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შუამთა; 2. იგრეკი; 3. პორტერი; 4. ქიაჩელი; 5. კალიბრი; 7. ჰილტონი; 11. ჯანლი; 12. გიურზა; 13. რემარკი; 14. იპოთეკა; 15. ჩითილი; 17. პოლისი; 19. მწდე.

**თარაზულად:** 5. კონუნგი; 6. ფოლორცი; 8. კილი; 9. პერიე; 10. ბორანი; 11. ჯიღა; 13. რისლინგი; 19. იანკი; 16. სპერი; 18. ოჩანი; 20. კარდენი; 21. ლექსიკა.

# უკრაინის პარლამენტმა ამნისტიის შესახებ კანონი მიიღო

## ეს კონფლიქტის დარეგულირებას ხელს არ შეუწყობს, — ფიქრობენ ექსპერტები



— უკრაინის პარლამენტმა ამნისტიის შესახებ კანონი მიიღო, თუმცა ოპოზიცია ამით არ დაკმაყოფილდა, – იტყობინება „ინტერი“.

ახალი კანონის საფუძველზე საპროტესტო აქციებში მონაწილეთა გათავისუფლება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ოპოზიცია ყველა დაკავებულ შენობას დატოვებს.

— ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ მათ მაიდანი ან უკრაინული სახლი დატოვონ, მაგრამ გრუშევსკის ქუჩა და კიევის საოლქო ადმინისტრაციის შენობა აუცილებლად უნდა გაათავისუფლონ. ასევე უნდა გათავისუფლდეს საოლქო ადმინისტრაციების შენობებიც, – განაცხადა თავის ტელეინტერვიუში იანუკოვიჩის წარმომადგენელმა პარლამენტში მიროშნიჩენკომ.

ოპოზიციამ ამ მოთხოვნას მიუღებელი უწოდა და მის შესრულებაზე უარი განაცხადა.

— კენჭისყრა პროცედურების დარღვევით ჩატარდა, ჩვენც მის შესრულებას არ ვაპირებთ, — აღნიშნა მაიდნის კომენდანტმა და პარლამენტის დეპუტატმა ანდრეი პარუბიიმ.

### ხელისუფლებამ დაკავებულები მძევლებად აიყვანა

საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება კრიზისის მოგვარების ყველაზე ეფექტური საშუალებაა. იანუკოვიჩსაც ამას რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ურჩევდნენ. ოპოზიციაც საპროტესტო აქციების ყველა დაკავებული მონაწილის (ასეთები კი ასეულობით არიან) დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდა.

– ამ მხრივ რაიმე ვაჭრობა უბრალოდ ამორალობაა. ყველა დაკავებული ყოველგვარი პირობების გარეშე უნდა გაათავისუფლონ! – ეს სიტყვები ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს პეტრო პოროშენკოს ეკუთვნის.

იანუკოვიჩი, სამწუხაროდ, განსხვავებულ პოზიციაზე იდგა. ის კატეგორიულად მოითხოვდა, რომ მომიტინგეებს როგორც მაიდანი და გრუშევსკის ქუჩა, ასევე ყველა დაკავებული შენობა დაეტოვებინათ. „დაკავებულებსაც მხოლოდ ამის შემდეგ გავათავისუფლებთ, მაგრამ მხოლოდ მათ, ვისაც მძიმე დანაშაული არ ჩაუდენია, — ამტკიცებდა უკრაინის პრეზიდენტი.

– ხელისუფლებამ დაკავებულები ფაქტიურად მძევლებად აიყვანა, რათა ოპოზიციასთან მოლაპარაკებებში სასურველ შედეგს მიაღწიოს – თვლის რადიო „თავისუფლება“.

### ოლიგარქების პოზიცია

იანუკოვიჩის სიჯიუტემ კონფლიქტის მოგვარებაში კვლავ პრობლემები შექმნა, რამაც ვითარება გაამძაფრა. მაიდანზე ერვნული გვარდიის შექმნის შესახებ გამოაცხადეს. ფიცის მიღების ცერემონიალი მე-5 არხის ეთერით გადაიცა. ეროვნული გვარდიის ფორმირებები ლვოვში, ტერნოპოლსა და ივანო-ფრანკოვსკშიაც შეიქმნა, რასაც ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა.

– ეროვნული გვარდია უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას წარმოადგენს. მასში მონაწილეობაც კანონით ისჯება! – განაცხადა უკრანის შს-ს მინისტრმა ზახარჩენკომ.

მალე დონეცკში ე.წ. „სახალხო რაზმების“ შექმნა დაიწყო. ლუგანსკში უკვე კარგა ხანია ე.წ. „დონელი კაზაკები“ ქუჩების პატრულირებას ახორციელებდნენ. ნიკოლაევის გუბერნატორმა თავდაცვის რაზმის ჩამოყალიბება დაიწყო, რომელსაც მყვირალა სახელი „სოკოლი“ დაარქვეს. იანუკოვიჩი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებითა და მკაცრი ზომების მიღებთ იმუქრებოდა. ჰაერში თოფის წამლის სუნი დატრიალდა.

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ყოვლად დაუშვებელია, – განაცხადა ცნობილმა დონბასელმა ოლიგარქმა რენატ ახმეტოვმა.

მსგავს პოზიციაზე დადგნენ დანარჩენი უკრაინელი ოლიგარქებიც. ამას ძალოვან სტრუქტურებში შექმნილი არაერთგვაროვანი ვითარებაც დაემატა. არმია არასაიმედო იყო. თუკი მას მომიტინგეთა წინააღმდეგ გადაისროდნენ, მისი დიდი ნაწილი ოპოზიციას მიემხრობოდა. შინაგანი ჯარის მებრძოლთა უმრავლესობა მომიტინგეთა დარბევას ნამდვილად არ მიესალმებოდა. ამას დასავლეთის მტკიცე პოზიციაც ერთვოდა.

– აშშ და ევროპა აცხადებდნენ, რომ ძალადობის შემთხვევაში უკრაინის წინააღმდეგ სანქციებს შემოიღებდნენ, ეს კი იანუკოვიჩისა და მისი გარემოცვისავის კატასტროფაა, რადგანაც თავიანთი კაპიტალი მათ დასავლეთის ბანკებში აქვთ, – თვლის პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი.

ყველაფერმა ამან შედეგი გამოიღო. ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობის შემოღება ველარ გაბედა.

### ვითარება უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში

იანუკოვიჩის კანონზომიერ შეშფოთებას უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში შექნილ ვთარება იწვევდა. თუკი ადრე ეს რეგიონი მას მხარს უჭერდა, ახლა ვითარება შეიცვალა. უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად იანუკოვიჩის რეიტინგი აქ უკვე 20 პროცენტამდე დაეცა. პრეზიდენტის პოზიციის შესუსტება უკანასკნელი მოვლენებისას ნათლად გამოჩნდა. დონეცკში იანუკოვიჩის მხარდამჭერ მიტინგზე მხოლოდ 15 ათასი მოქალაქე მივიდა, თუმცა დონეცკის გუბერნატორი აცხადებდა, 300 000-მდე კაცს გამოვიყვანოო. ე.წ. „სახალხო რაზმებში“ გაწევრიანების მსურველნიც ცოტანი აღმოჩნდნენ. მსგავსი სურათია ლუგანსკში, დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, ოდესაში. ფაქტიურად იანუკოვიჩს დღეს მხარს მხოლოდ ისინი უჭერენ, ვინც მისი მმართველობის დროს გარკვეულ მდგომარეობას მიაღწია და მისი დაკარგვისა ეშინია. მხარდამჭერთა მეორე კატეგორას პენსიონერები წარმოადგენენ. რაც შეეხება ახალგაზრდობას, მისი უმრავლესობა მაიდანს ემხრობა.

–სიცივეების დადგომასთან ერთად უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში საპროტესტო ტალღამ იკლო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ გაზაფხული მოვა თუ არა, აქციებიც ახალი ძალით განახლდება, – თვლის ხარკოვში მცხოვრები უკრაინელი მწერალი ჟადანი.

### თუკი არ დამემორჩილებით, პარლამენტს დავშლი!

ამრიგად მოვლენები ნამდვილად არ ვითარდებოდნენ იანუკოვიჩის სასარგებლოდ. ამას მმართველ პარტიაში შექმნილი მდგომარეობაც დაერთო. იქ გამოიკვეთა ჯგუფი, რომელმაც პრეზიდენტისაგან დამოუკიდებლად ოპოზიციასთან მოლაპარაკებები დაიწყო.

– რეგიონების პარტია მზად იყო, რათა ოპოზიციის კანონპროექტისათვის მხარი დაეჭირა, რაც ყველა დაკავებულის უპირობო გათავისუფლებას ითვალისწინებს, – იტყობინება მე-5 არხი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავკაცი კლიუევი მოვლენებში აქტიურად ჩაერია. მან პარლამენტის სპიკერ რიბაკს რამდენიმეჯერ დაურეკა და კენჭისყრის გადადება მოსთხოვა. რიბაკი დაემორჩილა. ამასობაში რეგიონელთა რამდენიმე ლიდერი იანუკოვიჩთან დაიბარეს, თუმცა პრეზიდენტთან შესახვედრად მხოლოდ რამდენიმე მათგანი გაემართა.

– ეს უკვე ნამდვილი ბუნტი იყო, – თვლის პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი.

ამის შემდეგ იანუკოვიჩი პარლამენტში თავად მივიდა. ის ჯერ ოპოზიციური პარტიების ლიდერებს გაესაუბრა, ხოლო ამის შემდეგ კომპარტიისა და რეგიონების პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარმა რამდენიმე საათს გასტანა. იანუკოვიჩმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ მხარი მისი კანონპროპექტისათვის დაეჭირათ. რეგიონელთა ზოგიერთმა ლიდერმა შეკამათება სცადა. პრეზიდენტმაც წონასწორობა დაკარგა.

– თუკი არ დამემორჩილებით, პარლამენტს დავშლი! – იყვირა მან და მაგიდას მუშტი დასცხო.

რეგიონალები მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდნენ, რათა მხარი პრეზიდენტისათვის დაეჭირათ.

### კენჭისყრა

უმაღლესი რადის სასესიო დარბაზში განმერდა ის, რაც ადრე არაერთგზის მომხდარა. პრეზიდენტის კანონპროექტს კენჭი ყოველგვარი განხილვის გარეშე უყარეს, რაც რეგლამენტის უხეში დარღვევაა. ამან ოპოზიციის რისხვა განაპირობა.

– ოპოზიციონერები ხმამაღლა სკანდირებდნენ, „სირცხვილი! სირცხვილი!“ – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რეგიონელების გარდა კანონპროექტს მხარი დაუჭირეს კომუნისტებმა, მაჟორიტართა ნაწილმა (11 კაცი). პარლამენტმაც ამნისტიის ისეთი კანონი მიიღო, როგორიც იანუკოვჩს სურდა.

– ამრიგად, უკვე საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირდა, რომ ოპოზიციამ დაკავებული შენობები უნდა დატოვოს და გრუშევსკის ქუჩაც გაათავისუფლოს. ამისათვის მას თხუთმეტი დღის ვადა ეძლევა, რის შემდეგაც დაკავებულ ოპოზიციონერთა გათავისუფლება დაიწყება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პარლამენტში ჩატარებულმა მორიგმა სკანდალურმა კენჭისყრამ მაიდანზე შეკრებილი ხალხი აღაშფოთა. მათი განწყობილებები უფრ რადიკალური გახდა.

–სანამ იანუკოვიჩი ჩვენი პრეზიდენტია, ქვეყანას არაფერი ეშველება, – აცხადებენ ისინი.

### რა მოხდება შემდეგ?

უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ინა ბოგოსლოვსკაია თვლის, რომ ამნისტიის შესახებ კანონპროექტის მიღება იანუკოვიჩის მორიგი ფანდია.

– ვიქტორ ფიოდოროვიჩი ძალაუფლებას არას დიდებით არ დათმობს, არც საპარლამენტო-საპრეზდენტო მოდელის აღდგენაზე დათანხმდება, – აცხადებს ბოგოსლოვსკაია.

დეპუტატის აზრით, იანუკოვიჩს სურს, დრო მოიგოს, ძალები მოიკრიფოს, რათა შემდეგ მაიდანს დაარტყას. ამ მოსაზრებას ბევრი ევროპელი თუ ამერიკელი ექსპერტი ეთანხება.

– იანუკოვჩი არც კუჩმაა და არც იუშჩენკო. ხელისუფლებასაც ის არ დათმობს და მისი შენარჩუნებისათვის ყველაფერს გააკეთებს, – ამტკიცებს ცნობილი პოლონელი პოლიტიკოსი ადამ მიხნიკი.

ამრიგად, პარლამენტმა ამნისტიის შესახებ კანონპროექტი მიიღო, მაგრამ ამან ვითარების განმუხტვა ნამდვილად არ განაპირობა. არც ოპოზიციის ლიდერები, არც მაედანზე შეკრებილი ხალხი დათმობას არ აპირებენ. დაპირისპირებაც უკრაინაში გრძელდება, რაც ბევრის შეშფოთებას იწვევს.

– იანუკოვიჩს ორი გზა დარჩა 1) საკონსტიტუციო-საპარლამენტო მოდელის შემოღებასა და პრემიერად ოპოზიციის კანდიდატის დანიშვნას დათანხმდეს, 2) ოპოზიციის წინააღმდეგ ძალისმიერი ოპერაცია განახორციელოს. ორივე ვარიანტი მისთვის დამღუპველია. საკონსტიტუციო-საპარლამენტო მოდელი იანუკოვიჩს ნომინალურ ფიგურად გადააქცევს. რაც შეეხება ძალისმიერ გზას, ეს როგორც იანუკოვიჩისათვის, ასევე მთელი უკრაინისათვისაც შესაძლოა კატასტროფით დასრულდეს, – თვლის ბი-ბი-სი.

უკრაინული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლუცენკო თვლის, რომ იანუკოვიჩს რეალურ და არა მოჩვენებით კომპრომისზე წასვლა მოუწევს. „მომხდარის შემდეგ არც ოპოზიციის ლდერები, არც ხალხი ძველი სისტემის შენარუნებას არ დათანხმდებიან, – ამბობს ლუცენკო. მისი აზრით, პრობლემის მოგვარების ორი გზა არსებობს: პირველი, ეს ე.წ. პოლონური ვარიანტია. როცა სოლიდარობასა და გენერალ იარუზელსის შორის შედგა შეთანხმება. იარუზელსკიმაც პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა, სამაგიეროდ, მთავრობა სოლიდარობამ დააკომპლექტა, მეორე ვარიანტი ასევე კომპრომისულია, ოანუკოვიჩი თავის პოსტზე რჩება, სამაგიეროდ, არაპარტიულ მთავრობას ქმნის, რომელიც პროფესიონალებით იქნება დაკომპლექტებული და რომლის ამოცანაც როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის არჩევნების ობიექტურად ჩატარება იქნება.

– ორივე ვარიანტი ქვეყნისათვის სასიკეთოა, მაგრამ მეეჭვება, რომ იანუკოვიჩი ამაზე დათანხმდეს, – ამბობს ლუცენკო.

ამრიგად, უკრაინაში ჯერჯერობით გაურკვეველი ვითარება რჩება. მანიფესტანტები არც დაშლას, არც დაკავებული შენობების გათავისუფლებას არ აპირებენ. მილიციის თანამშრომლები მაიდნის აქტივისტებზე თავდასხმებს განაგრძობენ. მიმიტინგეებიც იძულებულნი არიან, თავი დაიცვან. შექმნილი ვითარება პროვოკაციებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ერთ-ერთი ასეთი პრვოკაციაა ე.წ. „ ფედერალიზმის იდეის“ შემოგდება.

–სანამ უკრაინა ფედერაციად არ გადაიქცევა, მშვიდობა არ დამყარდება, – ეს იდეა ცნობილმა ოდიოზურმა დეპუტატმა ვადიმ კოლესნიჩენკომ გაახმოვანა.

უკრაინის ფედერალიზაციას მოსკოვი კარგა ხანია ცდილობდა. პუტინის ემისარი მედვედჩუკიც ამის პრპოპაგანდას გულმოდგინედ ეწევა. ერთხანს თითქოს ფედერალიზმის ქადაგება მინელდა, მაგრამ ახლა კვლავ განახლდა. ბრძოლა უკრაინისათვის გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

---

## ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

შვილები კოტე და ვახტანგი, რძლები იზაბელა და ჟანეტა, შვილიშვილები ედიშერ, კარლო, თამარ და ვიქტორია გოგინავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკი და საზოგადო მოღვაწე

**კარლო აკაკის ძე გოგინავა**

პანაშვიდი: 30, 31 იანვარს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 1 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი (აფრიკის დასახლება), ჯამბულ წურწუმიას ქუჩა №93.



შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ვახტანგ გოგოხიასა და მის მეუღლეს, ექიმ-ვენეროლოგ ძაძუ კოსტავას გარდაეცვალათ დიდებული პიროვნება, ბატონი

**ნუგზარ დამიანეს ძე გოგოხია**

თანამშრომლები ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, ნათესავებსა და კოლეგებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს სამინისტროს თანამშრომელს დავით შონიას ძმის

**ომარ ნოჩოს ძე შონიას**

გარდაცვალების გამო.

ადერკინ კოპლატაძე ოჯახით ულრმესი მწუხარებით იუწყება და თანაუგრძნობს ახლო მეგობარს, ბატონ მავრი ზალდასტანიშვილსა და ოჯახს შვილის

**სერგოს**

გარდაცვალების გამო.

**ცფვუკჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვზბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპზს უფჯლფ7!@–ლფყ!&ცფფსფჯლჩ8**

---

## TV პროგრამა

### პარასკევი 31 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ანგელოზსა და ეშმაკს შორის"** (ჟ.დეპარდიე) 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 19.05 დ/ფ"ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 21.00 ტ/სერ. **"კარგი ტიპები"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"ჯაყოს ხიზნები"** 01.00 მხ/ფ **"ზუსტად ის კაცი"** (ლ.ჯექსონი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30, 21.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 9 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 თოქ შოუ – რეაქცია 00.00 მხ/ფ **"გატაცებული"** (ნ.კეიჯი) 01.55 სერ. **"სტალინის ცოლი"** 4 სერ.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე". 06.55 დოკ/ფ "გადადექი ფაშა". 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება. 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი. 10.40 დოკ/ფ "ლელოს შემობრუნება".11.20 ისტორიის გაკვეთილი. 12.10 პორტრეტები. 12.50 მოკ/ფ **"მეზობლები"**. 13.25 პატერიკი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 კონცერტი ანს. "სახიობა". 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 კონცერტი - თბილისური ავტოგრაფი (ნ. ნიკოლაიშვილი). 17.00 კვირიაკე 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დოკ/ფ "მზექალა შანიძე". 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.10 მხ/ფ **"ბესამე"** 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.15 დროის ჩანაწერები. 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დოკ/ფ "ღირსი მამა ალექსი შუშანია" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

მაესტრო 7.00, 0.00, 3.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.40, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 მულტფილმები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 ianvari

აშშ დოლარი — 1,7819

ევრო — 2,4369

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,954

100 რუსული რუბლი — 5,1555

## ამინდის პროგნოზი 31 იანვრისთვის




## fcnhjghjuyjpb

31 იანვრისთვის

.ღტპფვ უფბსღფჯბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, მოემზადეთ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **კირჩხიბი** – ცხოვრება დიდ სიურპრიზს გიმზადებთ. **ლომი** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, წინ მიდიხართ! **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – ყველაფერი კარგად იქნება, ცოტაც მოითმინეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** – დროს ნუ გაფლანგავთ. **თხის რქა** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, შეხვდით მეგობრებს. **მერწყული** – უარი არ თქვათ საკუთარ სიამოვნებაზე, უბრალოდ ზომიერება დაიცავით. **თევზები** – იოცნებეთ, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ!

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტს=

## hჰxცღxჰლბ ფ

**შვეულად**: 1. მონასტერი ხულოს რაიონში; 2. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 3. გადაჭარბებული სიყვარული ყველაფერი ფრანგულისა; 4. ნელტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 5. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 8. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი; 9. მრავალხმიანობა მუსიკაში; 12. ჩეხური ქოფაკი; 14. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი; 16. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი.

**თარაზულად**: 1. დელტაპლანის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 6. სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში; 7. ისლანდიის პარლამენტი; 9. დათქმული საიდუმლო სიტყვა, ფრაზა; 10. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 13. იტალიელი არქიტექტორი, რომელიც ხელმძღვანელობდა წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობას რომში; 15. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 17. შეიარაღებული მძარცველი; 18. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 19. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 20. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## მანდარინები“ ესტონეთის კინოკრიტიკოსთა პრიზიორია

ეკა ირემაშვილი

ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ ესტონეთის კინოკრიტიკოსთა პრიზის მფლობელი გახდა. ფილმი ესტონეთში წლის ფილმად აღიარეს. მთავარი როლის შემსრულებელს ლემბიტ ულფსაკს კი ჯილდო საუკეთესო როლისთვის გადაეცა.

ქართველმა რეჟისორმა კიდევ ერთი პრიზი და მადლობა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგან ესტონური კულტურის პოპულარიზაციისთვის მიიღო.

„მანდარინები“ 2013 წელს საქართველოს ეროვნული კინოცენტრის და სახელმწიფოს დაფინანსებით გადაიღეს. ფილმის სიუჟეტი აფხაზეთის ომის ფონზე ვითარდება, თუმცა მასში ომის სცენები არ არის ასახული. ფილმი მოგვითხრობს აფხაზეთში მცხოვრებ ესტონელზე, რომელიც ომის დროს საკუთარი სურვილით დარჩა აფხაზეთში. დრამაში აღწერილია ესტონელი გმირის სახლში მოხვედრილი დაჭრილი ქართველი და ჩეჩენი ჯარისკაცების ურთიერთობა.

ფილმი ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა და მასში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე ესტონელი მსახიობები – გიორგი ნაკაშიძე, მიხეილ მესხი, ესტონეთში საუკუნის მსახიობად აღიარებული ლემბიტ ულფსაკი, ელმო იუგანენი და რავიო ტრასსი.

როგორც „ახალ თაობას“ რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ განუცხადა, ფილმს უკვე 13 ჯილდო და პრიზი აქვს მიღებული. „მანდარინები“ სპეციალური ჩვენება გაიმართა ალგეთში ქართველი სამხედროებისთვის. საველე ბაზაზე კინოჩვენებას მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროები დაესწრნენ. კინოჩვენებას სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია, კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებიც დაესწრნენ. ჩვენება „ჯარის მეგობართა საზოგადოების“ ფარგლებში, თავდაცვის სამინისტროსა და კინოცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა. მსგავსი ღონისძიებები შეიარაღებულ ძალებში ქართველი სამხედროებისთვის მუდმივად იმართება. კინოჩვენებები მომავალში სისტემატიურ ხასიათს მიიღებს და სხვადასხვა ბატალიონებშიც მოეწყობა.




ფილმისადმი დიდი ინტერესის გამო, როგორც მოსალოდნელი იყო, განხორციელდა პირატული მოქმედებები, რაზეც შემოქმედებითმა ჯგუფმა სპეციალური განცხადება გაავრცელა:

„მოგახსენებთ, რომ კინოფილმი „მანდარინები“ შექმნილი და დამზადებულია ჩვენი საპროდიუსერო ჯგუფის მიერ. აქედან გამომდინარე ვავრცელებთ ოფიციალურ მიმართვას, რომელიც ვრცელდება ყველა იმ ინტერნეტ გვერდის მიმართ, რომელთაც უკანონოდ განათავსეს აღნიშნული ფილმი თავიანთ საიტებზე და ამით უხეშად

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## როზერტ სტურუა სპექტაკლს არგენტინაში დგამს

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა არგენტინაში სპექტაკლს დგამს. როგორც რეჟისორი განმარტავს:

– ბუენოს-აირესში ვარ. იუჯინ ო'ნილის „ძაძები შვენის ელექტრას“ სან მარტინის თეატრში ვდგამ. აპრილის ბოლოს დავბრუნდები. ბევრი გამლანძღავს. მოხვედი და დაგვაგდეო. ხელშეკრულება მაშინ დავდე, თეატრიდან რომ გამაგდეს. რას წარმოვიდგენდი, იმ ულმერთოებს ასე ჩქარა რომ მოუღებდნენ ბოლოს. ალბათ კიდევ 20 წელი დაგვჭირდება, სულიერი კრიზისი რომ დავძლიოთ! ეჰ, ჩემო ქვეყანა, გადამთიელებმა გადაგვიარეს და ახლაც არ გვანებებ თავს! აქ 43 გრადუსი სითბოა! ვივა არხენტინა!, – წერს რეჟისორი „ფეისბუქის“ თავის გვერდზე.

რობერტ სტურუა წლების წინ ბუენოს აირესში მუშაობასაც იხსენებს:



– ათიოდე წლის წინ ბუენოს აირესში ბრეხტის და ფეიხტვანგერის „სიმონა მაშარის სიზმრებს“ ვდგამდი. რეპეტიციებს ძველ იდიშის თეატრში ვატარებდი (სამწუხაროა, ენა, ევროპის შუაგულში რომ ჩამოყალიბდა, მივიწყებას მიეცა. რამდენი დიდი ებრაელი მწერალი დაიბადა ამ ენის წიაღში – თუნდაც შოლომ-ალეიხემი გავიხსენოთ.) ხოდა ამ დანგრეულ, გაუბედურებულ თეატრში, ებრაელების უბანს რომ შემორჩა, ვმუშაობდით მე და ჩემი მსახიობები. მაშინვე შევიტყვე, რომ ეს უზარმაზარი ტერიტორია არგენტინის დედაქალაქში სოროსმა შეიძინა. ძალიან დამენანა, გაქრებოდა ეს კოლორიტური ადგილი, უზარმაზარი ბაზრით (რას არ ნახავდი აქ?!) და, ვინ იცის, რა ახალი ურბანისტულ შენობებს აღემართავდა ცნობილი მულტიმილიონერი! ჩავედი და, ჩვენი თბილისის უგემოვნო შენობებივით დამახინჯებული არ დამხვდა ღარიბ ებრაელთა ემიგრანტების გეტო. მომეწონა კიდეც, გული კი მაინც დამწყდა! და

გაგრძელება მე-8 გვერდზე


gazeT `axali Taobis~ mTavar redaqtors soso goginaSvils

ვულოცავთ დაბადების დღეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, აღმასვლას, წარმატებებს ოჯახთან ერთად. უფალი იყოს მისი შემწე ყველგან და ყოველთვის!

სიყვარულითა და პატივისცემით „ახალი თაობა“




კეჰ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ